

# სამრეწველო სესარიზები

ISSN 1987-8729



სამაცნელო-საინფორმაციო ჟურნალი

№9 (77), სეპტემბერი, 2017

## ლომთაგორა LOMTAGORA

### უკვი მოსავლისათვის! FOR RICHER HARVESTS!

სერტიფიცირებული,  
უკვემდებარებული ჟართალი  
ცორებულის თასები  
**ლომთაგორა**



**ლომთაგორა**  
LOMTAGORA

მისამართი;  
მარნეული, ლომთაგორა  
ტელ.: 596 585 585  
www. lomtagora.com, info@lomtagora.com

# ჩვენი ბევრ ფარმაციუს გავუპირალეთ გზა



1000-ზე მეტი დასახელების პროდუქტი



ექსპორტის ათწლიანი  
ისტორია



300-ზე  
მეტი  
ვეთავთიანი



25000-ზე  
მეტი  
ფარმაცი

## ნომერი 9 წარითავაზო:



ახალი აგრარული  
საქართველო

AKHALI AGRARULI SAQARTVELO

(New Agrarian Georgia)

ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინფორმაციო ჟურნალი.

Monthly scientific-informative magazine

სექტემბერი, 2017 წელი.

№9 (77)

სარედაქციო კოლეგია:

შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუსაბ ებანიძე, რეზო ჯანიძე, მიხელ  
სოხაძე, თამარ სინიძე, რუსულან გიგა-  
შველი (ქართულზენტრი), თენია ნიშაძე,  
ნოდარ ბრეგვაძე, ბექ გიორგილი, გიორგი  
ბარისმავრი (ქვემსახუა-ქველვერი), რეზუ-  
ფის რედაქტორი), ლითონ ბირუძე (რედაქტორი),  
თამთა გუგუშვილი (მთ. კრის. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:

აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რეზონ მახარიძელი, მარჯალმარჯვი,  
გურამ ალექსიძე, ზაურ ფუტკარაძე, ნოდარ  
ჩხარტიშვილი, ნუსაბ ებანიძე, პატარ  
კოლუმბელი, ელგუჯი გაგაძე, შოთა ჭა-  
ლაგანიძე, ზევად ბრეგვაძე, ელგუჯი გუგუშვი-  
ლი, გოგოლი მარგვაძე, აა გულაბაი,  
ლევან უკაჯურიძე, ზაურ ჯულუხიძე,  
ზურაბ ჯინვაძე, ქისიტო კანიაშვილი,  
ადოლ ტექმელაშვილი, ნატო კაცაძე,  
ქუკური ქერა, კახა ლაშხი, ჯემალ კაციტაძე,  
ნუსაბ მექანიზმილი, ხილიშვილი, ზაბაშვილი,  
მიხეილ ჭიჭაფე, დავით ბოსტაშვილი, ისებ  
სარჯველაძე, ნუსაბ სარჯველაძე, თენია  
გურაშვილი, ანტოლი გორგაძე, ლევან  
თორილაძე, ზურაბ ლოლაძე, კოდა კობალაძე.

გამომცემელი:

„აგრარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);

Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კვინომცეული  
კინირიატებისა კვლევითი ცენტრი „რეგიონიკა“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

რედაქციის მისამართი:

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53  
[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)  
ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ივერიული“  
(კოფიულ ბიბლიოთეკა)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო

დააკაბდონა გორგა მასიურაძე  
უქრნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრეზიდით.  
The journal acts in accordance with  
the principles of free press.  
© საავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.  
რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბჭიდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)

9



## მიღების კულტურათა სათასლე მასალის სარგებლივობები

როგორც თვითმტვრია, ისე ჯვა-  
რედინმტვერია ჯიშებისათვის სა-  
თესლე ნათესები ისე უნდა იყოს ერ-  
თმანეთისაგან დაცილებული.



22

## რატომ სკობს თხის რჩე ძროხისას

თხის რჩე შეუცვლელია კუჭისა და  
მხედველობის ორგანოს დაავადებათა  
დროს, დიათეზისა და ძვლოვანი ქსო-  
ვილის დემინერალიზაციის პროცესში.



26

## გაქვთ კითხვა აგრონომაზ?

ბრიუსელის კომბოსტოს ზრდის პე-  
რიოდში რა ღონისძიებებია ჩასატა-  
რებელი?



27

## გაქვთ კითხვა ვებრობისაზ?

ჩემ ხის ანუხებს თვალებიდან  
ცრემლდენა და თვალი თანდათანო-  
ბით იფარება ლიბრით. რა საშუალება  
გამოვიყენო, რომ ჩემს ცხოველს და-  
ვეხმარო?

რაც მავანება უდია  
ისოდეს! – რთველის

4 როგორისაგან

5 ეკოლოგია –  
ეს ყველას ეხება

7 სუსათის უკეთებობა და  
მასიურებელი

12

ეროვნული ეკოლოგიკის  
პროგრამის იღიასაული  
ხედვა

18

მასიურებელობის თანამედროვე  
მდგრადი გარემონდება  
საქართველოში

20

საქართველოში  
მასიურებელობის  
განვითარების  
არსავიზუალი

25

ნიადაგი, სასუები,  
მსახურე

27

ცოდნა და საქმის  
სისარეული

28

კავა-ჩაის კარიბა  
დაწყებული სისარეული

29

წარმატებული საოჯახო  
პიზისი

30

ერდეარი

**რაც მევენახევ უდეა ისოდეს! – რთველის ორგანიზაცია**

საქართველოში რთველი დაიწყო, ჩვენი გვერდი უკმარებისა და ვი-საც ზურნის პირადი მოხარებისა თუ გაყიდვის მიზნით გამოხვეხა სურთ, ამ სტატიიდან სასარგებლო რჩევას მიღება.

როველის სწორი ორგანიზებისთვის  
მევენაშემ პირველ რიგში მოსავლის სა-  
ვარაუდო რაოდენობა უნდა განსაზღვ-  
როს. წვრილ გლეხურ მუსურნეობებში ეს  
თვალზომური მეთოდით (შეფასებით)  
ხდება. ეს მეთოდი ზუსტი არ არის, მაგ-  
რამ წვრილ წარმოებაში ამართლებს.  
მევენაშეობის მსხვილ სანარმოებში კი  
მოსავლის დასადგენად იყენებენ ალ-  
რიცხვის ასეთ მეთოდს.

მერეფავთა ბრიგადამ უსად უზრუნველყოს საკრეფი ტარის სწრაფი შევსება, რათა დაკრეფილი ყურძენი დიდხანს არ გაჩერდეს მზის გულზე.

კურეფის დროს არ უნდა გამოივიყენოთ ლითონის სათლები (ის აუცილებელია იყოს პლასტმასის, ან ხისაგან მოწნული) და სხვა. დატვირთული სატრანსპორტო საშუალება სწრაფად უნდა გაიზარდოს ლითონის ქარსანაში.

დრო მოკრეფიდან გადამუშავებამდე  
არ უნდა აღიმატებოდეს 1-2 საათს!

ამჟამად, ნაცვლად დიდი გოდოლებისა, რომელიც დამაგრებული იყო მანქანის ძარაზე, გამოიყენება ხის ან პლასტიმასის ყუთები, რითაც შეიძლება დაუზიანებლად და დროულად ყურძნის დასამუშავებლად გადაზიდვა.


კურძნის შენახვა და მასზე მოქმედი  
ძირითადი ფაქტორები

ყურძნის თვის და რეალიზაციის ვა-  
დის გახანგრძლივების და კარგი სასა-  
ქონლო თვისებების შენარჩუნების მიზ-  
ნით ყურძენი მაცივარში ინახება.

յշրմճնու Շենաքվու և Տանգրծվողած  
մնիմքնելոցնագ գանիչարդա ցաւոցենու  
յշքեցիւնու մըտօնցենու Շեմշազենու,  
ցրցուրճու ռրջանցու Նարմացենու ցա-  
մոցնեցիւնու, Ցըմքէրացուրճունու և Ցենու  
րըցնուրճունու և Աեալու Ցըյնոցյուրո  
սաշնալցենունու և Տանցրցու ցամո. յշր-  
մճնու Տացանու Ցումենու Նարմացենու  
Շենաքվու և Տասանցու Ցումենու Նարմ-  
անունու ցիու, Մսոցլունու Մրացալու կըցպա-  
նա Թուրլու Ելունու ցանմացլոցնամու Աեալու  
յշրմճնու ցափրոնծ.

კურნენის შენახვაზე მოქმედი ფაქტორებია: ტემპერატურა, შეფარდებითი ტენიანობა, ჰაერის ცირკულაცია და გოგირდის ორჟანგის გამოყენება.

ରୀତ ଉପରେ ଡାକ୍ତାଲୀଙ୍କ ତ୍ରେମିଟେରାଟ୍ରୁରା,  
ମିଠ ଉପରେ ଡିଲ୍ଫାର୍ସ ନିନାଶେବା ପ୍ରିଣ୍ଟର୍ଜେବି,  
ତୁ ଅର୍ଥେବଳେ ସବ୍ରା କ୍ଷେଳିମ୍ବନ୍ଧୁମୁଖୀ କିମର-



ბეჭიც. კარგად მომნიფებულ ყურძენს ვერ აზიანებს -3,9°C ტემპერატურა, მაგრამ მარცვლის ყუნწები, რომელთაც მცირე შეარინობა ახასიათებთ, უფრო მაღალ ტემპერატურაზე იყინება.

ითვალისწინებენ რა ტემპერატურის მერყეობას, მინიმალურ დონედ მიჩნეულია 0-დან -1,10°C-მდე. ყუთები იდგმება მტაბელებად საცავის ჭრამდე, რომელიც გაყოფილია საცენტბით სამ ნაწილად. საჭიროა დაცული იქნეს ორი წესი: ყუთების გვერდები უნდა იყოს ჰაერის მოძრაობის პარალელური, ხოლო იარუ-

ს ების სიმაღლე და გასასვლელებს შორის მანძილი უნდა იყოს თახაბარი, რაც ხელს შეუწყობს აერაჟიას შტაბილურში.

ჰერის შეფარდებითი ტენიანობა.

საცავეში ტენიანობა უნდა იყოს საკმარის მაღალი. შეფარდებითი ტენიანობის მაჩვენებელი გამოხატავს მოცემულ ტემპერატურაზე წყლის ორთქლით ჰაერის გაჯერების დონეს. შეფარდებითი ტენიანობის თანაბარი მაჩვენებლი-

ରାତ୍ମୁରାଠେ ଯିବୁ ଶୈଳିକାର୍ଯ୍ୟ ମେତ୍ର ନ୍ୟାଲ୍ସ, ଗିର୍ଦ୍ଦର୍ଜେ 20-ଠେ । ତାଏରିବୁ ଶୈଳିକାର୍ଯ୍ୟ ପାଇଁ ତ୍ରେଣି-ଅନନ୍ଦିବୁ ଗାଥରିତ, ସାପାଵଶି ମାତ୍ରୁଲିଙ୍କରୁ ନ୍ୟାଲ୍ସିଲେ ନରତକ୍ଷଣିଲୋ ନ୍ୟାଲ୍ସା ଓ କ୍ରେଡିଟ୍ ଲିଙ୍କରୁ ପାଇଁ ପାଇଁ ତ୍ରେଣିଲେ ଅନାକାରିଗାନ୍ତିରି ଆମିତ୍ରିମ ପାଇଁ ନରତକ୍ଷଣିଲେ ସାଫାରିକାର୍ଯ୍ୟ ରୂପରୀଖିରେ ନିର୍ମାଣ ହୁଲିବା ପାଇଁ ତ୍ରେଣିନାକଂବା 87-92% ।

ჰაერის ცირკულაცია. ჰაერი საცავში უნდა მოძრაობდეს ისეთი სიჩქარით, რომელიც არ გამოიწვევს ყურძნის ბიოლოგიური ან გარედან შემოლწეულ სითბოს დანაკარგებს. ჰაერის მოძრაობის სიჩქარე კარგად იზოლირებულ საცავში უნდა იყოს 0,05-0,13 მეტრი/წარსი. ცნობილია, რომ ჰაერის მოძრაობის სიჩქარის 2-ჯერ გაზრდით, ტენის დანაკარგი იზრდება ერთი მეტამედით, რაც შეფარდებითი ტენიანობის 5%-ით კლებას უზოლდება.

გაცივების სისტემები. სუფრის ყურძნის საცავებს აქვთ გაცივების შემდეგი სასტემები: მშრალი ყინულით გაცივება, მარილსნარით ცენტრალიზებული გაცივება, კამერების ყინულით გაცივება. სამაცივრო დანადგარების კონსტრუქცია და მისი ექსპლუატაციური წესები ტექნიკის საქმეს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ხანგრძლივი შენახვის მიზნით, რაც მოითხოვს გოგირდის ორჟანგით ფუმიგაციას, ცალკეული სექციების მშრალი ყინულით გაცივებას ენიჭება გარკვეული უპირატესობა. ცალკეული სექციების სისტემა კი, რომელიც ჩვეულებრივი ყინულის სივისა გათვალისწინებული, უფრო გამოსადევია ყურძნის მოკლი ვადით შენახვის დროს.

ჯიშები შენახვისათვის. ყველა რეგიონს უნდა ჰქონდეს ამ რეგიონისთვის გამოსადეგი ჯიშური სორტიმენტი. საქართველოს სასუფრვე კაზის რეკომენდებული ჯიშები აღწერილია ზემოთ. საადრეო და საშუალო პერიოდის ჯიშების სამაცივრო შენახვა მიზანშეწონილი არ არის შენახვის კარგი უნარის შემთხვევაშიც კი, რადგან მათი გაყიდვის დროს, ბაზარზე ახალდაკრეაფილი ყურძენი შემოდის და კონკურენცია ამ უკანასკნელის სასარგებლობდ მუშაობს, ამიტომ შესანახად ძირითადად გამოიყენება საგვიანო და მიზან საგვანო სამართლის ადმინისტრაციის

და იერად გავითარო სიიძიუფი ჯიშები.  
კარგი შემაცხვევის უარისი მქონე ჯიშები  
სასათადება სუნთქვის დაბალი ინ-  
ტენსივობით. გარდა სუნთქვის დაბალი  
ინტენსივობისა, ხარგძლივად შესანახ  
ჯიშებს მცვრივი რბილობი, სქელი და  
მაგარი კანი აქვს, რასაც ჯიშური თვი-  
სებები განაპირობებს.

ყუობის ცალკეული ჯიშები 1-1,5  
თვიდან 3-5 თვემდე ინახება.

ანა გუდაპრელიძე,  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერების დოქტორი;

ପାଶୁ ଧରିବାରିଦୀ,  
ସନ୍ତୋଷିଲେ ମେଘରନ୍ଦେଖିଲେ  
ମେଘନୀଏରୁଥିଲେ ଧର୍ମକ୍ଷତାରୀ



## ეკოლოგია – ეს ყველას ეხება

რამდენად შევხება გლობალური კლიმატური ცვლილებები საქართველოს? ამ საკითხზე საინტერესოა მოვისმორთ საეციალისტთა აზრი

პრესით და ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე დაიწყეს მიწისქვეშა სამალავი ოთახების მშენებლობა, რომლებიც ადამიანებს დაიცავს მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფებისაგან, ატომური აფეთქებებისაგან, ეპიდემიებისა და სხვა უარყოფითი მოვლენებისაგან. ოთახებთან ერთად მიწის ქვეშ შენდება სხვა საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც საჭიროა ადამიანის გამოსაკვებად, გასათბობად. თითოეული ასეთი ოთახის ღირებულება რამდენიმე მილიონი დოლარია. ოთახების უმრავლესობა უკვე გაყიდულია. მომავლში დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ასეთი სამალავი ოთახის მშენებლობა.

როდესაც აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი, მიზანშენონილ ჩავთვალე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებულში (2011წლი) მეცნიერ-მკვლევარების ე. გორდაძისა და ც. ჟორჟოლიანის მიერ გამოქვეყნებული სტატიის „რამდენად შეხება გლობალური კლიმატური ცვლილებები საქართველოს“ ძირითადი მინარესის ფართო მკითხველისათვის გაცნობა:

„გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს ინვესტ ჩვენი გალაქტიკის შესვლა ექსტრემალური სინოპტიკური სიტუაციის ზონაში. ინგლისელი კლიმატოლოგის პიუპერტ ლემბის აზრით, თუ ტემპერატურის ანევის ტენდენცია შენარჩუნებული იქნა, მაშინ 2200 წლისათვის მოსალოდნელია საშუალო ტემპერატურის ანევა 6 გრადუ-

სით და იმ დროისთვის დედამიწაზე იქნება ისეთივე კლიმატი, როგორიც იყო 70 მილიონი წლის წინათ, როდესაც ჩვენს პლანეტაზე დინოზაფრები ცხოვრობდნენ.

დადგენილია, რომ დედამიწამ 400 ათასი წლის განმავლობაში მრავალჯერ განიცადა დათბობა-გაციების პროცესი. უკვე 100 ათასი წელია დედამიწაზე მიმდინარეობს უეცარი დათბობის ინტერგლაციალური პერიოდი.

ბუნებრივი პროცესებით გამოწვეულ გლობალურ პროცესებს ემატება ანთროპოგენური პროცესებით გამოწვეული სათბური ეფექტის გავლენა, რომელსაც ინვესტ ატმოსფეროში სითბური ეფექტის გამომწვევი გაზების  $\text{CO}_2$ ,  $\text{CH}_4$ ,  $\text{N}_2\text{O}$ ,  $\text{SO}_2$  და სხვათა რაოდენობის ზრდა.

10 ათასი წლის წინ დედამიწაზე იყო გამყინვარების ხანა. სკანდინავია დაფარული იყო კილომეტრიანი სისქის ყინულით; ოკეანის დონე 100 მეტრით უფრო დაბლა იყო, ვიდრე დღეს. საფრანგეთის 2/3 ყინულით იყო დაფარული. მას შემდეგ ტემპერატურამ დღემდე მოიმატა მხოლოდ 4-5-გრადისით და თუ რა ცვლილებებია მომხდარი, თვალნათლივ სჩანს.

საერთაშორისო ექსპერტების მიხედვით მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად ნალექების რაოდენობამ საგრძნობლად მოიმატა, განსაკუთრებით – ჩრდილო ნახევარსფეროში. გახშირდა მოულოდნელი თავსხმა წვიმები, ქარიშხლები, მეწყერული მოვლენები და სხვა. მოსალოდნელია ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანევა 6 გრადუ-

ლო ტემპერატურის გაზრდა 2-4-დან 4-8-გრადუსამდე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს: მყინვარების დნობას და მსოფლიო ოკეანის დონის ანევას 1 მეტრამდე, რაც დატბორავს ზღვის სანაპირო ქვეყნებს, ოკეანურ კუნძულებს და დიდ ქალაქებს: ნიუ-იორკს, მანეტეპენს, ამსტერდამს, ვენეციას, ფლორიდას, სან ფრანცისკოს, პეკინს, შანხაის, კალკუტას და სხვას. მყინვარების დნობას მოჰყვება ჯერ მდინარეთა ჩამონადენის გაზრდა, შემდეგ კი მტკნარი სასმელი და სარწყავი წყლების შემცირება. მტკნარი წყლების ზღვებსა და ოკეანეებში ჩადინება გამოიწვევს მარილიანობის შემცირებას, რასაც მოჰყვება მრავალი სახეობის ზღვის მცენარისა და ცხოველის ამონტვეტა და ახალ სახეობათა წარმოშობა. ოკეანეების გამტკნარება გამოიწვევს გოლფსტრიმის თბილი დინების შესუსტებას და საბოლოოდ შეწყვეტას, რასაც მოჰყვება გრენლანდიის, ბრიტანეთის კუნძულების, გერმანიის, ჰოლანდიის და სხვა ქვეყნების გამყინვარება.

გლობალური კლიმატური ცვლილები ასევე გამოიწვევს გვალვებს, ნიადაგის გაუდაბნოებას, მდინარეებისა და ტბების დაშრობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემცირებას, ნიადაგების ეროზიის გაზრდას, ნავთობის საბადოების დაშრობას, ტყის ხანდრებს, წლის სეზონების დაკარგვას, ახალი ინფექციების წარმოშობას, ეკოსისტემების პროდუქტულობის შემცირებას, სახეთა რიცხვის შემცირებას ან გაზრდას, მიწისძვრებს, ვულკანურ ამოფრქვევებს, ტორნადოების მატებას, რასაც სისტემატიკურად განიცდის მსოფლიო.

როგორც აღვნიშნეთ, გლობალური კლიმატური ცვლილებები ციკლური



პროცესია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. ამ პროცესების დაჩქარების ერთ-ერთ მიზეზად მოიაზრება პლანეტაზე მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდა და ტექნიკური პროგრესი. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება მოთხოვნები საკვებზე, წყალზე, ტყის რესურსზე, სამრეწველო პროდუქტებზე, ბუნებრივ რესურსებზე (ქვანახშირი, ნავთობი, გაზი, წიაღისეული და ა.შ.)

ტექნიკური პროგრესის შედეგად ატმოსფეროს დამაბინძურებელ რეგიონებად ითვლებიან: ა.შ.შ – 30,3%; ევროპა – 27,7%; რუსეთი – 13,7%; იაპონია – 3,7%; ჩინეთი და ინდოეთი – 12,2%; არაბეთის ნახევარკუნძული – 2,6%; ავსტრალია – 1,3%; აფრიკა – 2,5%; სამხრეთ ამერიკა – 3,8%. ატმოსფეროში CO<sub>2</sub>-ის რაოდენობამ 1958 წელთან შედარებით მოიმატა 13%-ით; 1750 წელთან შედარებით 25%-ით.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რა ელის საქართველოს გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად და რა უნდა გავაკეთოთ მისი ზემოქმედების შესამცირებლად? რა თქმა უნდა დედამიწაზე მომხდარი ყველა ცვლილება საქართველოზეც აისახება, თუმცა, საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის გამო პროცესები ისეთი მძაფრი არ იქნება როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში.

გლობალური დათბობა საქართველოში გამოიწვევს მყინვარების დონბას. დღეს უკვე დადგენილია, რომ მყინვარნვერის გერგეთის ენამ უკანასკნელ პერიოდში 150 მეტრით უკან დაიხია. მოსალოდნელია ბუნებრივი ვერტიკალური სარტყელის

გადაადგილება, ფასანაურსა და თიანეთში ტყეების ადგილს სტეპები და ნახევარუდაბნოები დაიკავებს, ყაზბეგში ფართოფოთლოვანი ტყეები გაბატონდება. შავი ზღვა შეუტევს და დაიტბორება ფოთი, ჭალადიდი, ქობულეთი, ბათუმი, ანაკლია. პალიასტომის ტბა შავი ზღვის ნანილი გახდება. კლიმატური ცვლილებების შედეგად მოსახლეობა მთებისკენ გადაადგილდება, ხელსაყრელი პირობები შეექმნება მავრებელ-დაავადებებს გავრცელებისათვის, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობაზე. რა ღონისძიებები უნდა გავატაროთ გლობალური კლიმატური ცვლილებების შემთხვევაში?

1. – კლიმატური ცვლილებების შერბილება; 2. – მასთან ადაბტაცია. კლიმატური პირობების სრულად შეჩერება შეუძლებელია, თუმცა, პროცესი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების საშუალებებით უფრო ადვილი სამართავი ხდება. შემარბილებელ ღონისძიებებში შედის: ატმოსფეროში თერმოაქტიური აირების, განსაკუთრებით CO<sub>2</sub>-ის ემისის შემცირება, თბოენერგეტიკის აღტერნატიული დარგების პრიორიტეტული განვითარება, ენერგოეკონომიკური ტექნოლოგიების დანერგვა, დედამინის მწვანე საფარის შენარჩუნება და გაზრდა.

ადაბტაციურ ღონისძიებებს მიეკუთვნება: ეროზიის სანინააღმდეგო ჯებირების მშენებლობა, ქარსაცავი ზოლების გაშენება, საირიგაციო სისტემების მშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შეცვლა, საცხოვრებელი პირობების შეცვლა, მშენებლობის მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცვლილება ისე, რომ

გარემოს ნაკლები ზიანი მიადგეს, ბუნებრივი რესურსების ყაირათიანი ხარჯვა, უნარჩენი წარმოებების დანერგვა და სხვა.

სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ ცოცხალ ორგანიზმებს და მათ შორის ადამიანებს ახასიათებთ ადაპტაციის დიდი უნარი. ამის დასტურია ისიც, რომ კაცობრიობამ ბევრ ცვლილებებს გაუძლო. გლობალური, ეკოლოგიური პრობლემაც ხომ მორიგი ეკოლოგიური ცვლილებაა, აღნიშნავენ ავტორები.

PS. ამრიგად, გლობალურ-კლიმატური ცვლილებები სხვა გლობალურ პრობლემებთან (მშვიდობის შენარჩუნება, მოსახლეობის შიმშილისაგან და ეპიდემიებისაგან დაცვა, ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან განკურნება და სხვა) ერთად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პრობლემაა, რადგან კლიმატური ცვლილებები არ ემორჩილება ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ საზღვრებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ბოლო ათწლეულში საქართველოს ტერიტორიაზე მკვეთრად გამოხატული გვალვები, ტემპერატურათა მერყეობა, უხვნალექიანობა, სეტყვა, წყალდიდობები, მეწყერული პროცესები და სხვა, რამაც საქართველოს, როგორც გეოგრაფიულ ერთეულს, დიდი ზარალი მიაყენა.

პარიზის 2015 წლის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მსოფლიოს 180-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა. ერთხმად შეთანხმდა პლანეტის კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ რადიკალური ღონისძიებების გატარების თაობაზე. კონფერენციის რეზოლუციას საქართველოც შეუერთდა. იმედია, მსოფლიო ცივილიზაცია მომავლის გადარჩენის მიზნით შეძლებს გლობალური კლიმატური ცვლილებების შერბილებას.

ადამიანებო, იყავით ფხიზლად! ყველამ უნდა გავითავისოთ მოსალოდნელი უარყოფითი მოვლენების საშიშროება, ჩვენი ცხოვრება წარვმართოთ ეკოსისტემის საკეთილდღეოდ, რათა უმტკივნეულოდ და მცირედანაკარგებით გადავიტანოთ მორიგი ეკოლოგიური ცვლილებები.

**ზურ გაბრიელი,**  
ეკოლოგიურ მუნიციპალიტეტის  
აკადემიის აკადემიკოსი,  
სსმ დოქტორი, პროფესორი

# სურსათის უვნებლობა და მეცნიერება

თანამედროვე გაგებით მეცნიერება, ისევე როგორც ხელოვნება, მორალი, სამართალი, იდეოლოგია, რელიგია და ა.შ., ყაცობრიობის კულტურის განვითარებისა და მონაბოვარი – ევროპაში აღიარებული იქნა XVII საუკუნეში, რაც უკავშირდებოდა მიღებული ცოდნის ან ჰიპოთეზის გადამოწმებას ცდების გზით.

დღეისათვის „მეცნიერების“, როგორც ცნების უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს, შესაბამისად რთულია ახალი დარგების „მეცნიერებად აღიარება“. ამ საკითხის სირთულე კიდევ უფრო მძაფრდება იმ ფონზე, რომ ჯერ კიდევ ცალკეულ მეცნიერთა შორის არსებობს სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი მიდგომები „ფილოსოფიის“, „ეკონომიკის“ და მეცნიერების სხვა დარგების დამოუკიდებელ მეცნიერებად აღიარების თაობაზე, თუმცა, ეჭვ-გარეშეა, რომ მეცნიერება ცოდნის განსაკუთრებული სისტემაა საზოგადოებაზე, ადამიანზე და ა.შ. ის არის ფასულობათა გარკვეული სახეს-ვაობა, რომლის მიზანს წარმოადგენს ჭეშმარიტი ცოდნის მიღება, დაგროვება და სრულყოფა.

მეცნიერება ხშირად არასწორად არის გაგებული. ზოგიერთისთვის მეცნიერებას პრესტიჟული მინიჭებულობა აქვს, სხვებისთვის მეცნიერება ნამდვილი ცოდნაა, ნაწილისთვის კი იგი ემპირული ფენომენის ობიექტურ კვლევას ნიშნავს. მეცნიერების საწყისის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, უფრო მეტიც, ცოდნა, რომელიც მეცნიერულად მიიჩნევა დღეს, მომავალში შეიძლება არამეცნიერულად ჩაითვალოს.

მეცნიერების ერთიანი კლასიფიკაცია თითქმის გამორიცხულია ობიექტური კვლევას ნიშნავს. მეცნიერების საწყისის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, უფრო მეტიც, ცოდნა, რომელიც მეცნიერულად მიიჩნევა დღეს, მომავალში შეიძლება არამეცნიერულად ბული სისტემების არსებობის გამო.

ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციით, მეცნიერება იყოფა საბუნების მეტყუ-

ველო, ტექნიკურ, საზოგადოებრივ (სოციალურ) და ჰუმანიტარულ მეცნიერებად. ამ მეცნიერებათა შორის ასევე არსებობს მათი შემაკავშირებელი რგოლები და ერთი და იგივე მეცნიერება შესაძლოა სხვადასხვაგვარად მოიაზრებოდეს და საფუძველი ჩაუყაროს სხვა დამოუკიდებელ მეცნიერებას (მედიცინა, ეკოლოგია, საინჟინრო ფისიკოლოგია, და სხვა).

ნორმებისა და იდეალების ერთობლიობა, რომელსაც შესაძლოა წარმართველი მინიჭებულობა ენიჭებოდეს მეცნიერების განვითარების ერთ ეტაპზე, გამოიხატება ტერმინში „მეცნიერული აზროვნების სტილი“. იგი შესაძლოა იცვლებოდეს და ერთ მეცნიერებას მეორე ანაცვლებდეს ან ხდებოდეს მოვლენათა და მტკიცებულებათა გადაფასება. მაგ. მეცნიერების ისტორიის შემსწავლელმა ამერიკელმა მეცნიერმა – თომას კუნმა, რომელიც აანალიზებდა მეცნიერული ცოდნის განვითარების ხასიათს, განსაზღვრა პერიოდები, როდესაც მეცნიერება ვითარდებოდა დინამიურად, გროვდებოდა რა ფაქტები, რომელთა მეშვეობით მტკიცდებოდა სხვადასხვა თეორემები უკვე არსებულის ფონზე. მან ამ პროცესს „პარადიგმა“ უწოდა.

განსაზღვრული პარადიგმის ჩარჩოებში მეცნიერების განვითარება შესაძლოა ხასიათდებოდეს არსებულ თეორიებთან შეუსაბამო მონაცემთა მობილიზებით, ამიტომაც ადრე თუ გვიან საჭირო ხდება „შეუსაბამისობის“ ახსნის მიზნით მეცნიერული ცოდნის გარკვეული საფუძვლების, ზოგადი პრინციპების, მეთოდოლოგიური მტკიცებულებების შეცვლა, რაც წარმოადგენს „გადატრიალებას მეცნიერებაში“ (მაგ. მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში გენები განიხილებოდა, როგორც ცილოვანი ბუნების მოლეკულები და სხვ.)

მეცნიერება არ არის მარტივ და დაგნილი წესი, რომლის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ მის შინაგან არსეს. გარდა დადგენილი წესისა, მას მრავალი გამტკოება აქვს, რომლის დებულებად ჩამოყალიბება შეუძლებელიც კი არის.

„მეცნიერება“ ეხება არა ცოდნის რომელიმე ზოგად ან კონკრეტულ ნაწილს, არამედ მეთოდოლოგიას. ამ მიზეზთა გამო ცნება „მეცნიერება“ გამოიყენება დარგში იმ ცოდნის აღსანიშვნად, რომელიც მეცნიერული მეთოდოლოგიით არის მოპოვებული.

კაცობრიობის ისტორიული განვითარების შესაბამისად, ცალკეული დარგი, ყალიბდება რა საზოგადოების აზროვნების, საქმიანობისა და აქტივობის დამოუკიდებელ ფორმად, ადამიანის კულტურისა და საჭირო-





ებების განსაკუთრებული ცოდნის ფირმირების პარალელურად გარდაიქმნება მეცნიერებად და შესაძლოა წარმოადგენდეს პროდუქტს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის კვლევის მეთოდებს, კონცეფციებს, პრინციპებს და ა.შ. ასე იქმნებოდა სურსათის უვნებლობა, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დისციპლინა.

მეცნიერება და საზოგადოების მოთხოვნა უვნებლი სურსათის წარმოება - მინოდებაზე ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. მეცნიერება არ შეიძლება შეიქმნას ან განვითარდეს საზოგადოების გარეშე, ისევე როგორც თანამედროვე საზოგადოებას არ შეუძლია მეცნიერების გარეშე არსებობა, რადგან იგი უზრუნველყოფს და ხელს უწყობს საზოგადოების მოთხოვნების დაკავშირებებას ყველა სფეროში და ამით თავის თავზე იღებს საზოგადოების სოციალური განვითარების ფუნქციასაც. ცნობილია, რომ მეცნიერება მოიცავს სოციალური ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება კონკრეტული კვლევები. სურსათის უვნებლობა, როგორც „მეცნიერება“, სრულად ესადაგება აღნიშნულ მოთხოვნებს. ის აღიარებულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ექსპერტების მიერ. კოდექსის აღმინტარიუსის განმარტებით: „სურსათის უვნებლობა არის მეცნიერება. როგორც მოგეხსენებათ, კოდექსის სტანდარტები დაფუნქცილია მეცნიერებაზე და რისკის ანალიზი რეკომენდებულია მთავრობებისთვის გამოსაყენებლად.....“

დააგვადებების ახალი გამოწვევები ან მავნე ნივთიერებების ნარჩენები მოითხოვენ მეცნიერების მიერ უვნებლობის ახალი მეთოდების ტექნოლოგიური პროცესების ბოლო ეტაპზე გამოყენებას, რასაც ხშირად სანარმოო ჯაჭვის დასაწყისში მოიხსენიერდება.

დევს პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მიმართ მოთხოვნების შეცვლის აუცილებლობა.

რაც შეეხება სურსათში/ცხოველის საკვებში, ცხოველში ან მცენარეში, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტში რისკების კლასიფიკაციას, მოქმედებს ერთიანი წესი: ნებისმიერი ზომების მიღების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიებზე დაფუძნებული კვლევების შედეგების აღმნერ სიდიდეთა სამეცნიერო ანალიზი, რომლის შედეგად გამოვლენილი პოტენციური საფრთხის მავნე ზეგავლენის აღმართობა განისაზღვრება რისკის მეცნიერული შეფასებით

სურსათის უვნებლობის პარამეტრები ითვალისწინებენ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მისაღებ დონეს (რაც განიხილავს სურსათის მოხმარების მოდელს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებით (მაგ., ასაკით) და მოხმარებული სურსათის და წყლის დაბინძურების მაჩვენებლებს). შესაბამისად, ის შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მეცნიერული კვლევებით (მაგალითად კოდექსის სტანდარტები, ასევე რისკის შეფასები, ჩატარებული სურსათის, სოფლის მეურნეობის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციების ექსპერტების მიერ.).

სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ მეცნიერულად დასაბუთებულ ინტეგრირებულ პრინციპებზე (HACCP, მიკვლევადობა, რისკის შეფასების პროცესში საფრთხის იდენტიფიცირება და დახასიათება, ექსპოზიციის შეფასება და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული მეცნიერული კვლევები და შედეგები) დაფუძნება აუცილებელი გახდა სასურსათო ჯაჭვში მონაწილე ყველა რეოლისათვის. სხვაგვარად შეუძლებელი იქნება

ფიქრი ამ მიმართულებით კაცობრიობისა და საზოგადოების განვითარებაზე.

მეცნიერული აზროვნება წარმოადგენს აზროვნების ისეთ სახეს, როდესაც მეცნიერულ დონეზე ხდება ჰიპოთეზების, პრინციპების, მიდგომების გარკვეული გააზრება. ყველა ეს მახასიათებელი ნიშანდობლივია სურსათის უვნებლობისთვის. ასევე ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ეს მახასიათებლები მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლოა დროთა განმავლობაში იცვლებოდეს – ხდებოდეს მათი უგალვებელყოფა ან ახლით ჩანაცვლება.

სურსათის უვნებლობას, როგორც მეცნიერულ დისკიპლინას, აქვს მსოფლმხედველობრივი დატვირთვა. ის წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ფაქტორს და თანამედროვე წარმოების პროცესებისა და წამყვანი ტექნოლოგიების შექმნის საფუძველს. ის ასევე არის ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ იმის მიღება ცოდნის მიღება და დამუშავება.

სურსათის უვნებლობის სფეროში ახალი მეცნიერული ცოდნის დაგროვება ხდება სამეცნიერო კვლევის მეთოდების საშუალებით, ხოლო შეფასებები ეფუძნება მეცნიერულ პროცესებს. დღეისათვის მსოფლიოს ყველა კონტინენტზე ფუნქციონირებს არაერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ცენტრი, სახელმწიფო დაწესებულება, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობის სფეროს მხოლოდ სურსათის უვნებლობა წარმოადგენს. მსოფლიო ბევრ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სურსათის უვნებლობის სასწავლო პროგრამები, მათ შორის სასწავლო პროგრამები სურსათის უვნებლობის მართვის კუთხით. ბევრი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი იმის დასაბასტურებლად, რომ სურსათის უვნებლობა დღეისათვის წარმოადგენს დამოუკიდებელ დისკიპლინას, რომლის მეცნიერული რანგი აღიარებულია ამა თუ იმ მომიჯნავე დარგებში მოღვაწე მეცნიერთა, პირთა და პროფესიონალთა შორის.

**ზურაბ ციმიშვილი,**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი

# მიცდვრის კულტურათა სათესლე მასალის სერტიფიცირება

საქართველოში დაიცხო მიცდვრის კულტურათა სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების და ეთონიკური განვითარების ახალი სისტემა დაუზურდებულია ეკონომიკური თანამშრომალობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მთავრობის სემინარზე, ინსახეზირების მთავრობის და თესლის ტესტირების საერთაშორისო ასოციაციის (ISTA) წესებზე.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ჯიშების და ჰიბრიდების მაღალხარისხოვანი სათესლე მასალის თესვა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა დამოკიდებულია როგორც აგროტექნიკის დონეზე, ასევე ჯიშის ან ჰიბრიდის სწორ შერჩევასა და დასათესად გამოყენებული სათესლე მასალის ხარისხზე, თესლის ხარისხის დასადგენად კი საჭიროა ქვეყანაში იყოს გამართული სერტიფიცირების სისტემა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

სელექციური ჯიში მყარად ინარჩუნებს თავის მემკვიდრულ თვისებებს მრავალ თაობაში, მაგრამ გამრავლების პროცესში თანდათანობით ეცემა მისი სამეურნეო-ბიოლოგიური თვისებები, მაგალითად მოსავლიანობა, ხარისხი, გამძლეობა და სხვა. ეს გამოწვეულია მექანიკური დასარევლიანებით, სხვა ჯიშების გადამტევრვით, დათიშვით, დაავადებით, მუტაციების გამოვლინებით. ამიტომ მეთესლეობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს გასავრცელებლად დაშვებული მაღალპროდუქტული და მაღალი ხარისხოვი მაჩვენებლების ჯიშებისა და ჰიბრიდების სათესლე მასალის დამზადება, მათთვის დამახასიათებელი სელექციური ნიშნების და თვისებების შენარჩუნება, რაც მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, მეთესლეობა, როგორც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი, ემსახურება ჯიშებისა და ჰიბრიდების მაღალხარისხის სათესლე და სარგავი მასალით ფერმერული მეურნეობების უზრუნველყოფას. ის არის შუალედურ რგოლი

სელექციასა და სოფლის მეურნეობის ნარმოებას შერჩების.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის არარსებობის გამო ხშირ შემთხვევაში ითესებოდა გაურკვეველი წარმომავლობისა და ხარისხის თესლი, რაც შემდგომში უარყოფითად აისახებოდა როგორც მოსავლიანობაზე, ასევე პროდუქციის ხარისხზე.

სათესლე მასალის სერტიფიცირება არის განსაზღვრულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც ადგენს, შეესაბამება თუ არა თესლი დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებს.

სათესლე მასალის სერტიფიცირების სისტემის დანერგვა ქვეყანაში ხელს შეუწყობს ფერმერთა უზრუნველყოფას მაღალხარისხიანი თესლით და დაიცავს სამომხმარებლო ბაზარს არაკეთილისინდისიერი რეალიზატორებისაგან და ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან. სერტიფიცირების სისტემის არსებობისას ფერმერს საშუალება აქვს შეიძინოს

მისთვის სასურველი ჯიშისა და ხარისხის თესლი, ხოლო მწარმოებელს აქვს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ მისი პროდუქცია შეესაბამება ხარისხის მოთხოვნებს და დამზადებულია მეთესლეობის პრინციპების დაცვით, რაც გარკვეულ უპირატესობას აძლევს მას ბაზარზე არასერტიფიცირებულ თესლთან შედარებით. გარდა ამისა, სერტიფიცირების განხორციელებისას ჩატარებული პროცედურები და დაეხმარება მენარმებს გამოცდილების გამდიდრებაში, რომელიც გამოიხატება პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაში და თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების დანერგვაში.

იმისათვის, რომ მეთესლეობის ორგანიზაციამ სარეალიზაციოდ დაამზადოს რომელიმე ჯიშის თესლი და მასზე მიიღოს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი – სერტიფიკატი, საჭიროა ჯიშს გავლილი ჰქონდეს ოფიციალური გამოცდა სასოფლო-სამეურნეო სარგებლიანობაზე და შეტანილ იქნას გასავრცელებლად დაშვებული ჯიშების კატალოგში. თუმცა, ზოგიერთი კულტურის ჯიშები შესაძლებელია არ დაექვემდებაროს ასეთ გამოცდას და გამოიცადოს მხოლოდ ერთგვაროვნებაზე, სტაბილუ-





რობაზე და განსხვავებულობაზე, მა-  
გალითად, ბოსტნეული კულტურები.  
გასავრცელებლად დაშვების მიზანია  
მაღალპროდუქტიული და მაღალი ხა-  
რისხობრივი მაჩვენებლების მქონე  
ჯიშების გავრცელება ქვეყანაში.

სელექცია-მეთესლეობის სისტემა  
მოიცავს შემდეგ ძირითად რგოლებს:

1. სელექცია – ახალი ჯიშების და  
ჰიბრიდების მიღება.

2. გამოცდა სამურნეო სარგებლი-  
ანობაზე – ახალი ჯიშების და ჰიბრი-  
დების შეფასება სხვადასხვა ნიადა-  
გურ-კლიმატური ზონების მიხედვით.

3. ახალი ჯიშების გასავრცელებ-  
ლად დაშვება და ეროვნულ კატა-  
ლოგში შეტანა.

4. მეთესლეობა ფერმერულ თუ  
სხვა მეთესლეობის ორგანიზაციებში.

5. სათესლე მასალის სერტიფიცი-  
რება – სათესლე მასალის ჯიშობრივი  
და თესვითი ხარისხის შემოწმება და  
ხარისხის დამადასტურებელი სერ-  
ტიფიკატის გაცემა.

თესლის სერტიფიცირებისათვის  
მისი დამზადება უნდა წარიმაროს  
მეთესლეობის სქემების შესაბამისად.  
სქემები წარმოადგენს წესების, სტან-  
დარტების, მითითებებისა და რეკო-  
მენდაციების ერთობლიობას, რომ-  
ლებიც გამოიყენება გასავრცელებ-  
ლად დაშვებული ჯიშების და მაღალი  
ხარისხის სათესლე მასალის დამზა-  
დებისა და სერტიფიცირებისათვის.  
ეკონომიკური თანამშრომლობისა და  
განვითარების ორგანიზაციის მეთეს-  
ლეობის სქემები (OECD Seed Sche-  
mes) მოიცავს სქემებს ცალკეულ

კულტურათა ჯგუფების მიხედვით  
და ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს  
მეთესლეობის ცალკეული საფეხუ-  
რებისადმი. მეთესლეობის სქემების  
მიხედვით სათესლე ნათესების მი-  
მართ მინიმალურ მოთხოვნებში შე-  
დის: ადგილი თესლბრუნვაში, საიზო-  
ლაციო მანძილი, დასარევლიანება,  
ჯიშობრივი სინმინდე, სათესლე მასა-  
ლის პარტიის მასა და სხვა.

უხვი მოსავლისა და მაღალხარის-  
ხოვანი თესლის მისაღებად მეთეს-  
ლეობის ნაკვეთებზე უნდა გატარ-  
დეს მაღალ დონეზე შესრულებული  
აგროტექნიკური ღონისძიებები. სა-  
თესლე ნაკვეთებზე ყველა სამუშაო,  
დაწყებული თესვიდან, მოსავლის  
აღებისა და მისი გადამუშავების ჩათ-  
ვლით, მეთესლეობისადმი წაყენებუ-  
ლი მოთხოვნების შესაბამისად ტარ-  
დება. წინამორბედად უნდა შეირჩეს  
ისეთი კულტურები, რომელთა პიო-  
ლოგიურ-მორფოლოგიურ სხვაობა-  
თა გამო ჯიშობრივი თუ სახეობრივი  
დასარევლიანება სრულად გამო-  
რიცხული იქნება.

სათესლე მასალის ხარისხი მოი-  
ცავს ჯიშობრივ და თესვით ხარისხს.  
ჯიშობრივი ხარისხი დგინდება სა-  
თესლე ნათესებში ჯიშობრივი სინმი-  
დისა და იდენტურობის განსაზღვრით  
რომელსაც ამონტებს სერტიფიცირე-

ბის ორგანოს მიერ წარგზავნილი სა-  
თანადოდ მომზადებული საველე ინს-  
პექტორი. ჯიშობრივი სინმინდე არის  
ძირითადი ჯიშის მცენარეების პრო-  
ცენტული რაოდენობა სათესლე ნა-  
თესში, ხოლო იდენტურობის დადგე-  
ნა ნიშნავს იმის დადასტურებას, რომ  
სათესლე ნათესი დათესილია დეკლა-  
რირებული ჯიშის სათესლე მასალით.  
საველე ინსპექტირება ტარდება იმ  
შემთხვევაში, თუ სათესლე მასალის  
დამამზადებელს აქვს სათანადო დო-  
კუმენტაცია და სათესლე ნათესი სა-  
თანადო მდგომარეობაშია. საველე  
ინსპექტორი სათესლე ნათესში ამონ-  
ტებს, სრულდება თუ არა მეთესლე-  
ობის სქემებით გათვალისწინებული  
მოთხოვნები.

სათესლე ნათესები, რომლებიც ექ-  
ვემდებარება საველე ინსპექტირე-  
ბას, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ  
ძირითად მოთხოვნებს:

- თესლბრუნვების ისტორია უნდა  
იყოს ისეთი, რომ ჯიშობრივი, სახე-  
ობრივი თუ სხვა სახის დასარევლია-  
ნება მინიმუმადე იყოს დაყვანილი.

- უნდა იქნეს დაცული საიზოლა-  
ციონ მანძილი, რათა არ მოხდეს არა-  
სასურველი გადამტკერვა.

- სათესლე ნათესი საკემარისი მან-  
ძილით უნდა იყოს გამოყოფილი სხვა  
ნათესებისაგან, რათა არ მოხდეს  
თესლის მექანიკური შერევა მოსავ-  
ლის აღების დროს.

- სათესლე ნათესი უნდა იყოს იზო-  
ლირებული თესლით გადამტანი დაა-  
ვადებების წყაროსაგან

- სათესლე ნათესი უნდა იყოს სუფ-  
თა სარეველებისაგან, განსაკუთრე-  
ბით იმ სარეველებისაგან, რომლებიც  
თესლის გაწმენდის დროს ძნელად  
მოსაცილებელია.

- სათესლე ნათესი უნდა აკმაყ-  
ოფილებდეს ჯიშობრივი სინმინდის  
სტანდარტებით გათვალისწინებულ  
მოთხოვნებს.

- ნათესი არ უნდა იყოს ჩანალილი  
და მცენარეები უნდა იყოს ნორმალუ-  
რად განვითარებული.

#### ცხრილი №1

| კულტურა              | საბაზისო<br>თესლი (%) | 1-ლი თაობის სერტიფ-<br>იცირებული თესლი (%) | მე2-ე თაობის სერტიფ-<br>იცირებული თესლი (%) |
|----------------------|-----------------------|--|---|
| ხორბალი, ქერი, შერია | 99,9                  | 99,7                                       | 99,0  |
| სიმინდი (ჯიშები)     | 99,5                  | 99,0                                       |   |
| სიმინდი (ჰიბრიდები)  | 99,9                  | შშობელი<br>ფორმებისათვის 99,8              |   |

ჰიბრიდების სათესლე ნათესები-სათვის მამა და დედა მშობელ ფორ-მებს შორის პროპორცია უნდა შეე-საბამებოდეს სელექციონერის მიერ განსაზღვრულ პროპორციას. დედა მშობელი ფორმების კასტრაცია უნდა ხდებოდეს სათანადოდ.

სათესლე მასალის დამამზადებელ-მა უნდა მიაწოდონ სერტიფიცირების ორგანოს დეტალური ინფორმაცია თითოეულ სათესლე ნათესზე წინა წლებში დათესილი წინამორბედების შესახებ. თესლბრუნვაში მსგავს სახეობებს შორის დროის მინიმალური ინტერვალი უნდა შეესაბამებოდეს მეთესლეობის სექებში მოცემულ მონაცემებს. ერთი და იმავე მინდორზე შეიძლება დაითესოს ერთი და იგივე ჯიშის უფრო დაბალი კატეგორიის თესლი.

სათესლე ნათესების საველე ინსპექტირების ვადები და ფაზები განისაზღვრება მეთესლეობის სექებით დადგენილ მცენარეთა განვითარების ფაზების მიხედვით. მაგალითად, სულ მცირე ერთი ინსპექტირება უნდა ჩატარდეს ყვავილობის შემდეგ ხორბლის, ქერის, შვრის სათესლე ნათესებში. სიმინდის ჯიშებისათვის საბაზისო და სერტიფიცირებული თესლის დასამზადებლად ჯიშობრივი სინმინდის განსაზღვრისას უნდა ჩატარდეს სულ მცირე ერთი საველე ინსპექტირება. სიმინდის ჰიბრიდების საბაზისო და საპირისი სათესლე ნათესებისათვის ტარდება სულ მცირე სამი საველე ინსპექტირება.

სათესლე ნათესი, რომელიც ძლიერ დასარევლიანებულია, უნდა იქნეს დაწუნებული. დასარევლიანების დასაშვები დონე უნდა შეესაბამებოდეს მეთესლეობის სექებში მითითებულ მოთხოვნებს, სათესლე მასალა თაობებთან დამოკიდებულებით იყოფა შემდეგ კატეგორიებად: „წინასაბაზისო“ თესლი (სუპერელიტა); „საბაზისო“ თესლი (ელიტა);

I და II თაობის „სერტიფიცირებული“ თესლი (რეპროდუქციული თესლი, I და II თაობის).

„წინასაბაზისო“ სათესლე მასალის დამზადება ხდება სელექციონერის ან ჯიშის შემნარჩუნებლის პასუხისმგებლობით. მათ შესაბამისი სელექციური თუ მეთესლეობის მეთოდების გამოყენებით უნდა უზრუნველყონ ჯიშის ჯიშური ნიშან-თვისებების შე-

| კულტურა              | აღმოცენების მინიმალური მაჩვენებელი (%) | ანალიზური სიმშინდე (%) |
|----------------------|--|------------------------|
| ხორბალი, ქერი, შვრია | 85                                     | 85                     |
| სიმინდი              | 90                                     | 98                     |

ნარჩუნება და ჰიბრიდების შემთხვევაში უნდა დაიცვან ჰიბრიდიზაციის ფორმულა.

№1 ცხრილში მოცემულია ზოგიერთი კულტურის სათესლე ნათესის ჯიშობრივი სიმშინდე თესლის ცალკეული კატეგორიებისათვის OECD მეთესლეობის სექების მიხედვით:

როგორც თვითმტვერია, ისე ჯვარედინმტვერია ჯიშებისათვის სათესლე ნათესები ისე უნდა იყოს ერთმანეთისაგან დაცილებული, რომ მოსავლის აღების დროს არ მოხდეს თესლის მექანიური შერევა. მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს ყველა იმ წესების დაცვით, რომელიც უზრუნველყოფს ჯიშობრივი და თესვითი ხარისხის შენარჩუნებას.


სათესლე მასალის ყოველი პარტია, რომელიც განკუთვნილია ტრანსპორტირებისთვის და რეალიზაციისათვის, უნდა იყოს დაფასოებული შესაბამის ტარამი და დალუქული. ტარას უნდა ჰქონდეს მიმაგრებული დადგენილი ფორმის ეტიკეტი. ეტიკეტზე ან ტარაზე უნდა მიეთითოს ინფორმაცია მის წარმომავლობაზე და ხარისხზე. ეტიკეტზე დატანილ მონაცემებს განსაზღვრავს შესაბამისი სეტიფიცირების ორგანო. ქიმიურად ან ბიოლოგიურად დამუშავებული სათესლე მასალა უნდა უზრუნველყოდეს ადამიანისა და ცხოველების ჯამშრთელობას და გარემოს უსაფრთხოებას.

ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატებით დამუშავებული სათესლე მასალის პარტიების შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია ხდება დაფასოებულ მდგომარეობაში. კონტეინერებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი წარწერები და ასეთ თესლთან მოპყრობის წესების განმსაზღვრელი დოკუმენტები.

საველე ინსპექტირების შედეგებს ადასტურებს სერტიფიცირების სამსახურის მიერ მოწყობილი საკონტროლო გამოცდა, რომელიც ითესება სათესლე ნათესის დასათესად განკუთვნილი პარტიიდან აღებული თესლის ნიმუშებით. ამ შემთხვევაში საველე ინსპექტირების და საკონტროლო გამოცდის შედეგები ერთმანეთს ედარება. დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში შეისწავლიან მის თესვით ხარისხს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა დამოკიდებულია როგორც ჯიშის ჯიშობრივ მახასიათებლებზე, ასევე სათესლე მასალის თესვით ხარისხზე, რომლის დადგენა ხდება თესლის ლაბორატორიული ანალიზის გზით. ის მოიცავს ანალიზური სიმშინდის, აღმოცენების უნარის, ტენიანობის, მავნებელ-დაავადებით დაზიანებისა და სხვა მახასიათებლების განსაზღვრას. თესლის თესვით ხარისხის განსაზღვრისათვის სათესლე მასალის პარტიიდან სამშინდებლივ მოიცავს ადამიანისა და ცხოველების ჯამშრთელობას და გარემოს უსაფრთხოებას.





ჯის აღება ხდება სერტიფიცირების ორგანოს მიერ. ამ საქმისათვის გამოყოფილი ან დამოუკიდებელი სინჯის ამღების მიერ. თუ ლაბორატორიის ანალიზის შედეგები აემყოფილებს შესაბამის სტანდარტებს, მაშინ სა-თესლე მასალის პარტიაზე სერტიფი-ცირების ორგანო გასცემს შესაბამის თესვითი ხარისხის დამადასტურებელ სერტიფიკატს. შესაძლებელია გაიცეს თესლის ხარისხის ერთი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს როგორც ჯიშობრივ, ასევე თესვით ხარისხს. კანონის – „ სავალდებულო სერტი- ფიცირებას დაქვემდებარებული სა- სოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯი-

შების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლების შესახებ“ თანახმად. სათესლე მასალაზე სერტიფიკატს გასცემს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის უფლებამოსილი ორგანო ან საქართველოს კანონმდებ- ლობით დადგენილი წესით აკრედიტე- ბული პირი. ამ ეტაპზე საქართველო- ში სერტიფიცირება შესაძლებელია ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სისტემაში. მისი განხორციელების შესაძლებლობა და უფლებამოსილე- ბა გააჩნია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს.

№2 ცხრილში მოცემულია ზოგი- ერთი კულტურის თესლის თესვი-

თი ხარისხის მიმართ მინიმალური მოთხოვნები ევროკავშირის დირექ- ტივების მიხედვით

სათესლე მასალის სერტიფიცირე- ბის საფეხურები:

- **რეგისტრაცია** – სათესლე მასა- ლის დამამზადებელი წარადგენს გა- ნაცხადს სერტიფიცირების ორგანოში.

- **საკონტროლო გამოცდა** – ტარ- დება ჯიშობრივი იდენტურობისა და სინმინდის განსაზღვრისათვის, რო- მელსაც ახორციელებს სერტიფიცი- რების ორგანო.

- **საველე ინსპექტირება** – მინდვ- რად ჯიშობრივი იდენტურობისა და სინმინდის დადგენა. ახორციელებს სერტიფიცირების ორგანო საველე ინსპექტორის მეშვეობით.

- **სინჯის აღება დამზადებული სა- თესლე მასალის პარტიიდან საკონტ- როლო დანაყოფების გამოცდისა და თესლის ლაბორატორიული შემონბე- ბისათვის – ახორციელებს სერტიფი- ცირების ორგანოს თესლის ხარისხის ლაბორატორია ან კერძო აკრედიტე- ბული ლაბორატორია დადგენილი მე- თოდიკით.**

- **სერტიფიკატის გაცემა** – სერტი- ფიცირების ორგანოს მიერ ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფა- სება და თესლის ხარისხის დამადას- ტურებული სერტიფიკატის გაცემა.

**მოიან ჩოხატავი,**  
**თამარ პირველაშვილი, ინიციატივის მიმღები**

## თვალსაზრისი

# ეროვნული ეკონომიკის პრობლემების ილიაშვილი ხედვა


საქართველოს ს., მ მთელი ხათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფ. პაპაშვილის განხოვანება: „ილია შავშავაძის მუზეუმის თვალით“, თბ., 2013, გამომცემულია „მე- რიდიანი“.

საქართველოს სწორუაობარ, სასიცადულო შვილს, ერთს გამად აღიარე- ბულ და უგვირვების მიზანი მოდებულ დიდ ილიას მთელი სიბრძე- სით, განსაკუთრებული, ილიასული სიღრმეთ ესოდა ეკონომიკის, რო- მელც საზოგადოებრივი ცხოვრის განვითარების სფეროს აღგილი და როლი დვახნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-აოლიტიკურ ცხოვრებაში, მთლიანად კულტურულ-ცივილიზაციურ განვითარებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ილია, როგორც უნივერსალური მო- აზროვნება და მოღვაწე, თანაბარი წარ- მატებით საქმიანობდა ლიტერატუ- რის, ხელოვნების, მეცნიერების, სა-

ერთოდ, კულტურის თითქმის ყველა დარგში.

პირდაპირ საოცარია, ერთი ადა- მიანი, როგორი გენიალურიც უნდა ყოფილიყო, რანაირად ახერხებდა



აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის მრავალ სფეროში შეუდარებელი ორგინალობით, სამშობლოს წარსულისა და ანტყოს ასეთ ღრმა ანალიზსა და შეფასებას, ამის საფუძველზე მომავლის პრობლემების სწორუპოვარ მეცნიერულ განჭვრეტას<sup>1</sup>. აღნიშნულისთვის, რა თქმა უნდა, მამულისთვის მხოლოდ თავდადება და თავგანწირვა საქამარის არ იქნებოდა, აუცილებელი იყო ილიასეული გონიერა, ინტელექტუალური პოტენციალი და არაჩვეულებრივი ქმედითუნარიანობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძის, როგორც ფართო განათლებისა და მრავალმხრივი მოღანის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლა-შეფასება, ჩემი აზრით, ნებისმიერი ინტელექტუალის შესაძლებლობებს აღემატება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ილიას შემოქმედების ცალკეული სფეროების სათანადო დონეზე შესწავლა-შეფასება შესაბამისი დარგის აღიარებული სპეციალისტის მიერ იქნეს განხორციელებული. ასეთი მკვლევარები თითზე ჩამოსათვლელია, რომელთა შორის ეკონომიკის დარგში, პირველ რიგში, უნდა აღნიშნოს აკადემიკოსები პატარა გუგუშვილი, ვასილ ჩანტლაძე, პროფესორები პროფესიონალური რატიანი, ტარიელ სართანია და სხვ.

ამ მხრივ თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტებიდან, ჩემი აზრით, უაღრესად საყურადღებოა საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ პატარა კოლუაშვილის სარეცენზიონ ნაშრომი, რომლის გულდასმით გაცნობამდამარნება, რომ მას მოუპოვებია დიდი ილიას ღრმა და მრავალწახნაგოვანი უნიკალურად შემოქმედების ერთ სფეროში – ეკონომიკაში ილიას მიერ მეცნიერული დიდმნიშვნელოვანი მოღვაწეობის განახლიზება-შეფასების მეცნიერულ და მორალური უფლება.

დიდი ილია, როგორც აზროვნებასა და მოქმედებაში უნიკალური პიროვნება, როგორც თეორიულ-მეცნიერული, ისე პრაქტიკულ-პრაგმატული თვალსაზრისით, ერთნაირი სილრმით

აღიქვამდა, გაიაზრებდა, აანალიზებდა, აფასებდა ნებისმიერ ფაქტს, მოვლენას, რეალობას, დიდსა თუ მცირეს, რასაც ხელს მოჰკიდებდა და გაიხდიდა აზროვნებისა და მოქმედების საგნად.

რამდენადაც ილიას აზრი და გონება ყოველთვის და ყველგან, მუდამ და ყოველ წუთს თავს დასტრიალებდა და თავის სათაყვანებელ დედა-სამშობლოს, ამდენად ის ყველაზე კარგად და ღრმად გრძნობდა და თავისი უზარმაზარი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობებით უშურველად ემსახურებოდა თავის სალხს, მამულს, თითოეულ მოქალა-

დაჭრისა და მომავლის უფრო რთული მიზან-ამოცანების მიღწევა-გადაწყვეტის რეალური გზების დასახვით.

ამავე დროს, დიდმა ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ცხოვრების ყველა სფეროში ერთდროულად შეუძლებელია წარმატების მიღწევა, არათუ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, არამედ ნებისმიერი ზესახელმწიფოსთვისაც. ამიტომ თავის მოღვაწეობაში ხელმძღვანელობდა პრიორიტეტული მიდგომის პრინციპით, ვამომდინარე ქვეყნის განვითარებაში მიღწეული დონიდან, მისი ეკონომიკური პოტენციალის, განვითარების შესაძლებ-



ქეს. ამასთან, როგორც გენიალური, გლობალური მასშტაბის პიროვნება არასდროს იზღუდებოდა ვიწრო ეროვნული ჩარჩოებით, ნებისმიერ ეროვნულ მოვლენას განიხილავდა გლობალურისა და ლოკალურის, ზოგადისა და კონკრეტულის, მთელისა და ცალკეულის ურთიერთობის დიალექტიკის თვალსაზრისით. ის მუდამ და ყველგან ეძებდა და პოულობდა ეროვნული ბილიკებიდან მსოფლიო ფართო შარაგზაზე, ასპარეზზე მიმავალ რეალურ გზებს, მაგრამ ამის აუცილებელ პირობად მიაჩნდა ყოველივე ეროვნულის, ეროვნული პოტენციალის ყველა ელემენტის მაქსიმალურად გაძლიერება და გამოყენება, ქვეყნის ნამდვილი სახის წარმოჩენა კოლუაშვილის წარმომში. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი პატარა ამჟღავნებს დიდი ილიასადმი არა მარტო უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, არამედ, სწორედ აქედან გამომდინარე, ამ უნივერსალური პიროვნების შემოქმედების თუნდაც ერთი გამოვლინებად და ნათელ მაგალითად.

ლობებიდან, თვით ეროვნული ტრადიციებიდან, ხასიათიდან, ადათ-ჩვევებიდან და ა. შ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ეკონომიკის, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაშე მდგარი რთული მიზნებისა და ამოცანების თანდათანობით, მაგრამ მაქსიმალურად შესაძლებელ მოკლე ვადებში მიღწევა-გადაწყვეტის უპირველეს პირობად მას მიაჩნდა საფინანსო-საბანკო საქმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება.

სწორედ ეს საკითხებია წარმოჩენილი, მეცნიერულად განალიზებული და შეფასებული აკადემიკოს პატარა კოლუაშვილის წარმოდგენილ ნაშრომში. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი პატარა ამჟღავნებს დიდი ილიასადმი არა მარტო უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, არამედ, სწორედ აქედან გამომდინარე, ამ უნივერსალური პიროვნების შემოქმედების თუნდაც ერთი გამოვლინებად და ნათელ მაგალითად.

1. ილიას მთელი მოღვაწობა შეიძლება მიერჩიოთ დიდი გერმანელი ფილოსოფოსის დაიბინდუის ცნობილი სრულტენციის: „ანტყოშობილი წარსულისაგან, არის შშობელი მომავალისა“, დედაარსის ცხოვრებაში განხორციელების ერთ-ერთი გამოვლინებად და ნათელ მაგალითად.



— ეკონომიკური შეხედულებების ისეთ ცოდნას, რომელიც, თუნდაც მიახლოებით მაინც, შეეფერება დიდ ილიას. ეს, რა თქმა უნდა, ნებისმიერი მკვლევარისათვის დიდი მიღწევაა. აღნიშნულის შემდეგ არც ის უნდა ჩაითვალოს შემთხვევითობად და გაუმართლებლად, რომ ნაშრომი ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხემა-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის ალსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

ჭეშმარიტების გამოხატულება და დიდი ილიას პიროვნების სრულყოფილი წარმოჩენაა უწმინდესისა და უნეტარესის ბრძნული შეფასება „ზეციური საქართველოს მკვიდრი, მიწიერი საქართველოს თანამდევი ილიას ნათელი უკვდავი სული ჭეშმარიტად დღესაც თავს დაგვტრიალებს“.

მართალია, ყველა ერს ჰყავს თავისი გენიოსი, მაგრამ ილია მაინც, ალბათ, სრულიად სხვა იყო ქართველი ერისათვის. სწორედ ეს აზრია გატარებული დიდი იაკობ გოგებაშვილის შეფასებაში: „იქნება არცერთ მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მინშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ (სარეცენზიონ ნაშრომის, გვ. 4).

ბატონი პაატა კოლუაშვილის ნაშრომში ბევრი სხვა ცნობილი მოღვაწის აზრებიც არის მოტანილი დიდი ილიას შესახებ. ეს ფაქტიც ნათლად მიუთითებს იმ დიდ შრომაზე, რომელიც ნაშრომის ავტორს გაუწევია დიდი ილიას პიროვნების კიდევ ერთხელ წარმოსაჩენად.

მართალია, დიდი ილია, თავისთა-

ვად, მზესავით ანათებს ქართული ცის კაბაღონზე, მაგრამ მაინც აუცილებელია ამ ნათების მასშტაბისა და სარისხის ხშირად წარმოჩენა, ამდენადაც ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან ადამიანები, რომლებიც თვით მზის, ამ „სამყაროს ღვთაებრივი ფერმწერის“ (ო. ბალზაკი) განსაკუთრებულ როლსაც უგულებელყოფენ თვით მის სისტემაშიც კი. ამიტომ, ვიმეორებ, ბატონი პაატას მიერ ამ მიმართულებით განეული ძალისხმევა, უთუოდ, მისასალმებელი და დასაფასებელია.

ბატონი პაატა პირველივე წინადადებიდანვე ორიგინალურად იწყებს თავის სათემელს ეხება რა დიდი ილიას შემოქმედებაში საერთოდ, და მათ შორის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის ამოცანების სწორად განსაზღვრას, მის კავშირს ერის თავისებურებებთან: „...არსებობს ისეთი წარსულიც, რომელიც იწყება და არასდროს აღარ მთავრდება, რადგან ის მჭიდროდ უკავშირდება ერის გენეტიკურ და ცნობიერ რაობას“ (გვ. 10). არასდროს დამთავრებული წარსულის ყველაზე დიდი მატერიალიზებული რეალობაა, ადამიანთა უფეხლესი კულტურის უმთავრესი ელემენტია საერთოდ მამული, სოფლის მეურნეობა, კერძოდ, და პირველ რიგში, მინა, რომელიც დიდ ნაწილში განსაზღვრავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის არსა, მის თვითმყოფადობას, თანაც იმდენად, რომ მინა გვევლინება ადამიანის სულიერ უნარზე ზემოქმედების მძლავრ საშუალებად. სწორედ მინის არსის ასეთმა გაგებამ, მისმა სწორად გააზრებამ აფიქრებინა დიდ ინგლისელ ფილოსოფოსს ფრენსის ბეკონს, თავის მოძღვრებისთვის „სულის

მართვისა და აღზრდის შესახებ“ ეწოდებინა „სულის გეორგიკა“ – სულის მიწათმოქმედება – სულის გარდაქმნა, მიწის დამუშავების მსგავსად“ (გვ. 11).

მიწის არსის შესახებ ილიასეული ზოგად-ფილოსოფიური თვალსაზრისის ჩამოყალიბების შემდეგ ბატონი პაატა სვამს კონკრეტულ კითხვებს მიწის შესახებ საქართველოს რეალობაში. სახელდობრ: „რას ნიშნავს მიწა, მიწათმოქმედება და მათთან კულტურული მიმართება ქართველი კაცისთვის? როგორ უკავშირდება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი იმ სფეროს, რომლის სახელსაც (გეორგია) ატარებს ჩვენი ქვეყანა? რა ეკონომიკური და სულიერი მიწაშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობას ჩვენთვის? როგორ უკავშირდება ერთმანეთს ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკური და ზნეობრივი ასპექტები?“ (გვ. 11). ეს და ამ საკითხებთან დაკავშირებული სხვა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ნაშრომში განხილულია დიდი ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების, ამ დიდი მოაზროვნისა მოღვაწის თეორიულ-პრაქტიკული საქმიანობის შუქზე.

ცნობილია, რომ საკუთარ მიწას ყველა ხალხი ყოველთვის და ყველგან უფრთხილებოდა, თავს ევლებოდა, სათუთად ექცევოდა, და იმავდროულად, ყველაფერს აკეთებდა, ყველა საშუალებას მიმართავდა სხვისი მინების ხელში ჩასაგდებად. მიწა დასაბამიდანვე იყო უპირველესი, უმნიშვნელოვანესი, ყველაზე სანუკვარი და საფიცარიც კი ადამიანთათვის საერთოდ. ამიტომაც კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე თითქმის ყველა ომი, და თვით მსოფლიო ომებიც, მიწისთვის ხდებოდა, რადგან საყველთაო აღიარებით, და საგვასტით სამართლიანადაც, მიწაზე ძვირფასი და ამავე დროს თავისთავადი, მზარდი სიმდიდრის უფრო მყარი და რეალური საფუძველი საერთოდ არ არსებულა. ამასთან, რაც უფრო დრო გადიოდა, მიწა მით უფრო განსაკუთრებულ საგნად იქცეოდა. ცხადია, უძველეს დროში, როცა დედამიწაზე 5-7 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და დღეს, როდესაც 7 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს, მიწის თითოეული კვადრატული მეტრის მიწაშვნელობა და ფასი, უბრალო არითმეტიკაც კი,

ათასჯერადობით მეტია, თვისებრივ-ხარისხობივად კი, ალბათ, მილიონობითჯერ. ამავე დროს, დედამინას ერთი კვადრატული მეტრიც არ მიჰმატებია და ვერც მოემატებოდა. პირი-ქით, ყოველწლიურად მილიონობით ჰქექტარი მინა მინათმოქმედებისთვის გამოუსადეგარი ხდება სხვადასხვა ბუნებრივი პირობებისა (წყლისმიერი, ქარისმიერი ეროზია, ექსპლუატაციის შედეგად მინების გამოფიცვისა და გაუდანიშვილის პროცესების განვითარება) და იმავდროულად დედამინის მოსახლეობის რიცხოვნობის განუწყვეტელი ზრდის შედეგად მინის ექსპლუატაციის ინტენსიფიკაცია ასევე განუწყვეტლივ ძლიერდება. სწორედ ამიტომ მინის ფასის ზრდა ზღვარდაუდებელია და ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მინას – დედა, ხოლო მთელს ჩვენს პლანეტას, „დედამინა“ უწოდეს.

ახლა, ე. წ. საბაზრო ეკონომიკის გავლენით ყველაფერი ეს გვავიწყდება და დედას, დედამინას ვლალატობთ, ანგარიშმიუცემლად ყვიდით, ვასხისებთ მას, გეგონება ჩვენი შრომით შექმნილი ნივთია, საგანია და ისე ვექცევით, როგორც მოგვეპრიანება, და გვავიწყდება, რომ ის უზენაესის, ღმერთის ნაბოქარი ბუნებრივი სიმდიდრეა და ჩვენ არც მორალური და არც სამართლებრივი, მით უფრო სარწმუნობრივი უფლება არა გვაქვს მას ასე უდიერად ვექცეოდეთ. ესეც კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა და ამიტომაც ენირებოდნენ მინის ყოველი გოჯის შენარჩუნებას. სწორედ ასეთი აზრებია გატარებული დიდი ილიას მოძღვრებაში საერთოდ მინის, მამულის და კერძოდ, მინათმოქმედებისა და მთლიანად სოფლის მეურნეობის შესახებ. თავის მხრივ გამოკვლევის: „ილია ჭავჭავაძე მეურნის თვალით“ ავტორი, აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი, ჩემი აზრით, ნაშრომში გვაძლევს ილიას შეხედულებების ადეკვატურ ანალიზა და შეფასებას, რამაც მეც მომცა საშუალება მეჩვენებინა ჩემეული და-მოკიდებულება და გაგება, ცხადია, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც დიდი ილიას შეხედულებზე, ისე ბატონი პაატა კოლუაშვილის ამ საინტერესო ნაშრომში განხილულ საკითხებზე, განვითარებულ აზრზე, რის შესახებაც მნიშვნელოვანი და ზევით მოგახსენეთ.

პაატა კოლუაშვილი ანვითარებს აზრს, რომ მინა ქართველთა ცნობიერებაში „შეურყყნელი“, „შეუბლალავი“, „სუფთა“ და „ნმინდა“, „ნმიდანაკვეთი“ გაღვთიურებულია წარმართულ საქართველოში. ქართველთა, ისე როგორც შუმერთა, წარმოდგენით მინა დედურ საწყისს განასახიერებს. იაფეტური, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა. იგი განასახიერებდა ბუნების მაცოცხლებელ ძალებს. ამ კულტი-სადმი მიძღვნილი რიტუალები დღემდეა შემორჩენილი სვანეთში“ (გვ. 13). აღნიშნულიდანაც ნათელი ხდება, თუ რატომ უზრდებდა ქართველი ყველაფერს მთავარს „დედას“: „დედა აზრი“, „დედა არსი“, „დედა ბუნება“, „დედაბოძი“, „დედამინა“ და ა. შ. ანვითარებს რა მინაზე ილიასეულ აზრს, ბატონი პაატა წერს: ილია ჭავჭავაძისათვის მამულის სიყვარული და ერთგულება ქართველთა ეროვნული რაობის ფსიქოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს... ქართველები მინაზე დამკვიდრებული ერია; ქართველის მინასთან უდალატო კავშირშია ქვეყნის სიძლიერე...

ქართველები სამინათმოქმედო ცივილიზაციის სათავეებში იდგნენ და მინათმოქმედება მათთვის არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო“ (გვ. 13). მინათმოქმედების ასეთი გაგებიდან გამომდინარე, პაატა კოლუაშვილი აკეთებს, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიურ დასკვნას, რომ „ქართველთა უძველესი და უმთავრესი საქმიანობის – სოფლის მეურნეობის – გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საძირკვლად“ (გვ. 14), ქართველი ერის გენეტიკური კოდიდან მომდინარეობს.

ნაშრომს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს ილიასეული აზრი, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომ კულტურული სოფელი და ღონიერი გლეხები ჩვენი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

ნაშრომში ლოგიკური და ისტორიული თანმიმდევრობით, პრობლემების ღრმა ცოდნით, ამ პრობლემებზე დიდი ილიას შეხედულებების მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზე ინტერარეტაციითა და მეტ-ნაკლებად ადეკვატური შეფასებებით არის განხილული შემდეგი საკითხები:

- სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებისა და ეროვნული ფსიქოლოგიის ურთიერთგადაჯაჭვულობის არსი, ყველა ის ეროვნული თვისება, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ ქართველებს შეუძლებელი შეაძლებინა და ეროვნული თავისთავადობა შეანარჩუნებინა, ურიცხვ მტრებთან ათმაგად უთანასწორო ბრძოლის ქარცეცხლში ღირსეულად გამოატარებინა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშა. აღსანიშნავი, და საყვალთაოდაც ცნობილია, რომ ჩვენზე უფრო ძლიერმა და მრავალრიცხოვანმა ბევრობმა ერმა ვერ შეძლო ეს და ისტორიას ჩაპარდა;

- ქართულ რეალობაში ურთიერთშერწყმა-სინთეზი ქრისტიანობისა და უძველესი ქართული ტრადიციების, თვით წარმართულ ჩვეულებათა იმ ღირებულებების, რომლებიც ეროვნული ინტერესებს გამოხატავდა, ქრისტიანობის გადაქცევა ქარ-





თული ზენ-ხასიათის საყრდენ ღერძად, რომლის ირგვლივ ბრუნავს ჩვენი ეროვნული ცნობიერება. ილიას შეხედულებით: „ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში პიშიშავდა ქართველობას. ქრისტიანობა პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნობისა ერთობას ერისას მოასწავებდა“ (გვ. 16);

● ქართველი ერის ტრადიციული აგრარული კულტურის ჩამოყალიბება წინააზიურ კულტურულ სივრცეში, ხოლო, თავისი მხრივ, აქ შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრივი ფორმების შემდგომში ევრაზიის მთელ ტერიტორიაზე წარმოშობილი აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების საფუძვლად ქცევა, რომლებიც ძირითადად მარცვლეულის მეურნეობაზე, მევენახეობა-მევინეობაზე, მეხილეობაზე, სხვა-დასხვა სახეობის პირუტყვის მოშენებასა და მისგან მიღებული ცხოველური პროდუქტების მოხმარებაზე იყო დაფუძნებული;

● საქართველოს მცირემინიანობიდან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის თავისებურებიდან და წარმოების შესაძლებელი მოცულობებიდან გამომდინარე, მთელი აგროსამრეწველო პოტენციალის გამოყენება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის მაქსიმალურად შესაძლებელ მასშტაბით წარმოებისათვის. ამ გზით აუცილებელი ღონისძიებების გატარება ევროპულ ბაზარზე შესაღწევად და დასამკვიდრებლად. ამ მიზნით საჭიროა საქართველოს უნიკალური ბიოგეოლიმატური პი-

რობებისა და გარემოს, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხალხის უნარ-ჩვევების, გამოცდილების, გეოგრაფიულ მდებარეობისა და გეოპოლიტიკური მდგომარეობის, აგრეთვე სხვა ფაქტორების ამოქმედება და გამოყენება. საბოლოო ანგარიშით, აგრარულ სფეროში აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების მიღწევა რიგი სახის პროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციაში. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საცხებით დამაჯერებლად მიუთითებს ბატონი პაატა, რომ „საქართველომ უნდა დაინტენს ახალი მოძრაობა „ბიო/ორგანული მწვანე რევოლუცია!“ (გვ. 18).

● პაატა კოლუაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მინის, მინა-წყლის, მამულის, ამ უნიკალური, შეცვლელი ფასეულობების პარალელურად ილია იძლევა მეურნის, გლეხვაცის განსაკუთრებული როლის დახასიათებას. ის პრძანებდა: „გლეხის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს პური, მწვანილი, ხილი და ყურძნი. მისი პირველი დანიშნულება და მოწოდებაა ის, რომ იყოს – იყოს, როგორც ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, შვილების გამზრდელი და საზოგადოების გამომკვებავი,... ქართველი ერის ხერხემალი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამლვრელი... და საქართველოს მინის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახავი მიღიონობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ“ (გვ. 19). ილია გლეხვაცს სოფლის მაცოცხლებლად და გარდამქმნელად მიიჩნევდა. მისთვის გლეხი სინონი-

მია „ქვეყნის პირველი ნომერი მარჩენალისა“, „საკუთარ ფეხზე მდგომისა“, „ერის ფეხვისა“ და „რეზერვისა“... „გლეხობაა სული და გული ჩვენი ეროვნული იმედების“. დიდი ილია მოთხოვდა, რომ „ქართველის მინაქართველისთვის იყოს“;

● ბატონი პაატა, ისტორიულ ასპექტში აანალიზებს რა დიდი ილიას პირვენების შესახებ შეხედულებათა მეტამორფოზებს, დიდი გულისტკოვილით აღნიშნავს: „დღეს, როდესაც დიდი ილია საყველთაოდ აღიარებულია, როდესაც ყველა თანხმდება, რომ ილია წარსულის კი არა, – მომავლის მოაზროვნეა, როდესაც ლოზუნგიც კი გაჩნდა – „წინ ილიას გზით“, არ ვიცით რა დაგარქვათ ილიას სახელით ილიას დასახული გზის საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას.

...დღეს კი საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე) გასხვისებისა და ქართველი გლეხობის სოფლიდან აყრის პროცესი უნიათესობების მიღწევა რიგი სახის პროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციაში. ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საცხებით დამაჯერებლად მიუთითებს ბატონი პაატა, რომ „საქართველომ უნდა დაინტენს ახალი მოძრაობა „ბიო/ორგანული მწვანე რევოლუცია!“ (გვ. 18).

● პაატა კოლუაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მინის, მინა-წყლის, მამულის, ამ უნიკალური, შეცვლელი ფასეულობების პარალელურად ილია იძლევა მეურნის, გლეხვაცის განსაკუთრებული როლის დახასიათებას. ის პრძანებდა: „გლეხის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხნას, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუტყვს, მოიყვანოს პური, მწვანილი, ხილი და ყურძნი. მისი პირველი დანიშნულება და მოწოდებაა ის, რომ იყოს – იყოს, როგორც ღირსეული იქნება საქართველოს ისტორიულმასპტაბიანი ეროვნული ინტერესებისადმი. მაშასადამე, ადვილად მიმართავდა საქართველოს ინტერესთა საწინააღმდეგო მოქმედებისკენ. ხალხის „სასიკეთოდ“ მიღებულ ამგვარ გადაწყვეტილებებს ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია“ (გვ. 22).

„იცვლება სტატუსდაკარგული ქართული სოფელი, მიმდინარეობს, ობიექტურად, ქართველი ერის ეკონომიკური გენოციდი. ამიტომაც იზრდება დაბაბულობა ქვეყნის სხვა-დასხვა კუთხეში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს (ინდოელები, ჩინელები და სხვ.) შორის“ (გვ. 23). ეს საშიში პროცესი შედარებით წყნარად და უხმაუროდ მიმდინარეობს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ქვეყნის ვინაობისა და რაობის დაკარგვის ტოლფასია. ქართულ საზოგადოებას მოქ-

მედება უსწრაფესად მართებს, რადგან პროცესები ძალიან მაღალ მიღებს კატასტროფულ ხასიათს” (გვ. 24).

როგორც ვხედავთ, ბატონშა პაატამ სავსებით სამართლიანად და საფუძვლიანად დაარისხა განგაშის ზარი ქართული მიწის, ამ ყველაზე ღირებული, შეუფასებელი, არააღნარმოებადი ბუნებრივი სიმდიდრის, უმნიშვნელოვანესი ღვთის წყალობის მიმართ ჩვენი ხელისუფლების, რბილად რომ ვთქვათ, უნიათო დამოკიდებულების გამო.

ბატონ პაატას მოჰყავს თვალსაჩინო მაგალითები ევროპის, აზისა და ამერიკის თითქმის ყველა განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნიდან, მათ შორის აშშ-დან, სადაც „...სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადი ევროპელები და კანადელები არიან“ (გვ. 27). შემდეგ ხაზს უსვამს რა მიწის ყოველი გოჯის მნიშვნელობას, მიუთითებს: „ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაკლებიც კი არ არის თავისიუფალი...“ (გვ. 28). ანვითარებს რა ილიას შეხედულებებს მიწის როლისა და მნიშვნელობის შესახებ, სავსებით სამართლიან და საფუძვლიან დასკენას აკეთებს: „მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმიწოდ ტერიტორიული შეუვალობა, ანუ სუვერენიტეტი“ (გვ. 28-29).

ანვითარებს რა ილიას აზრს ხიზნებზე გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენების დაშვების მართებულობის შესახებ, თვით თანამედროვე პირობების და დროის მოთხოვნის გათვალისწინებით, ასევე დასაშვებად მიაჩნია საქართველოში გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენება (გვ. 30) და არა სამუდამო გასხვისება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონი პაატა მიწის საკუთრებისა და სარგებლიანობის ფორმების შესახებ არსებული თეორიების, შესაბამისი მსოფლიო პრაქტიკის და, რაც მთავარია, ამ მოკლენებისა და პროცესებისადმი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, დიდი ილიას დამოკიდებულების მეცნიერული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გვაძლევს ადეკვატურ დასკვნებს.

ილია ჭავჭავაძე სოფლის მეურნეობას აკისრებდა არა მხოლოდ წმინდა ეკონომიკურ-მატერიალურ მნიშვნელობას, არამედ დიდ ფუნქციასაც ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში (გვ. 34).

ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის განმანათლებელი, ცდილობდა საქართველოში განვითარებულიყო ამხანაგობათა ჩამოყალიბების ტენდენცია (კომპერაციული მოძრაობა). ამ მხრივ ილიამ წინ გაუსწრო დროს და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე დამყარებული ეკონომიკური მოდელი მიაჩნია. ეს პროცესი სახელმწიფოს აქტიური მაორგანიზებელი როლითა და ხელშეწყობით უნდა წარმართულიყო.

ითვალისწინებს რა ყოველივე აღნიშვნულს, პროცესორი პაატა კოლუაშვილი აკეთებს საფუძვლიან დასკვნას, რომ: „საქართველოს შეუძლია კოპერაციულ საწყისებზე მოახდინოს სოფლად მოსახლეობის სამეწარმეო აქტივობის მობილიზაცია და არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავშირებული დარგების სწრაფი რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარებაც. სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიბის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება და სოფლის კომპლექსური და დიჩქარებული განვითარება. ესაა ცნების „ჯანსაღი საშუალო ფენა“ რეალური შინაარსი“ (გვ. 45).

ნაშრომის მეორე ნაწილში ბატონი პაატა მიუთითებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ბევრი შესაძლებლობების არგამოყენებაზე. მათ შორის ის (ხაზგასმით) ამბობს: „მაგალითად, ვმო-ს ე. ნ. „მინიმუმის პროგრამით“, საქართველოს შეეძლო 2010 წლისათვის მთელი სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად გამოეყენებინა 212 მლნ ლარი, გარდა ამისა, მეცნიერებისთვის – 93 მლნ ლარი და მეცხოველეობისთვის – 112 მლნ ლარი. სულ 417 მლნ ლარი...“ ამასთან, ის ხაზს უსვამს, რომ აღნიშვნული შესაძლებლობების გამოყენებისთვის მაშინ საქართველო მზად არ აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ავტორი ფიქრობს, რომ ასეთი მოცულობის კაპიტალდაბანდებისთვის ჩვენი ქვეყანა დღესაც არარის მზად. ის წერს: „ტყუილია, რომ საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობას დღეს მრავალმილიარდიანი ინვესტიცია სჭირდება, რადგან აგრარული სექტორი, როგორც დარგი, არ არის მზად მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციების მოზიდვისა და საჭირო პროექტების განხორციელებისთვის. იგი გადაუდებლად საჭიროებს დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის მიწის ფონდის კონსოლიდაციას (რადგან მასზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მოსავლიანობის ამაღლება და არსებითი ეკონომიკური შედეგის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია) და სოფლად კოოპერაციული მოძრაობის სტიმულირებას.

ათმაგად ტყუილია, რომ სოფლად დასაქმებული უნდა იყოს მხოლოდ 2-3% მოსახლეობისა. სოფლად უნდა





იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენსაც სოფელი სჭირდება თავის სარჩევად და გასახარებლად” (გვ. 65-66). შემდეგ ბატონი პაატა, სათანადო ინფორმაციისა და შესაბამისი შეხედულებების ანალიზის საფუძველზე, ასაბუთებს თავის მოსაზრებებს.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ავტორი იძლევა საქართველოს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მიწათმოქმედების უფრო კონკრეტული და დღეისთვის მწვავე საკითხების ღრმა ანალიზსა და შეფასებას, შე-

Ջեցագ ազլենի կը յընուի յը յօնոմուկու ամ յըմնի մընելու զանցու դարցու նոնա-  
շը ամյամագ մդցար մնացու პրոծլյ-  
մեծն դա ցոտացանոծն է, հիմու ածրու, ամ  
პրոծլյմեծն ցագանցը գունը յը յօնու-  
թու ցնչեծն, ցամոմ մդոնար մորուա-  
դագ, տույժմու սայց յընակեցրու նոն  
գուգու ոլուա մոյք դա սակելու ամուց-  
նեծն օգան, րոմելուա գուգու ար դա-  
յույնացու ադիտուալու օգան.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგას-  
მით მინდა აღვნიშნო: ნაშრომი არის  
დასაბუთება და დადასტურება იმი-

სა, რომ მისი ავტორი მიეკუთვნება  
იმ ბედნიერ გამონაკლის მოაზროვ-  
ნეთა რიგს, როლებმაც დიდი ილიას  
შემოქმედების თუნდაც ცალკეული  
სფეროების ღრმა ცოდნით მოიპო-  
ვეს მორალური უფლება თავიანთი  
აზრი დააფიქსირონ ამ გენიალური  
პიროვნებისა და მოაზროვნის შე-  
მოქმედების ცალკეული მხარეების  
შესახებ, პიროვნებისა, ვისშიც სინ-  
თეზირებული და გასხივოსნებული  
იყო იდეალური ქართველის ყველა  
უნიკალური ღირსება და ყველაფერი  
ეს მიმართული იყო ერის მანკიერე-  
ბათა აღმოსაფხვრელად, უნიკალურ  
ღონისძიებათა დასასახად, გასამრავ-  
ლებლად, ქართველი ერის ცხოვრე-  
ბაში დასამკიდრებლად.

ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობ,  
ცხადად მიუთითებს სარეცენზიო  
ნაშრომის მაღალ ღირსებებზე და მი-  
სი ავტორის, ბატონ პაატა კოლუაშვი-  
ლის, მეცნიერულ და მოქალაქეობრივ  
პასუხისმგებლობაზე.

## ବୈଜ୍ଞାନିକ ପରିମାଣିକ ପରିକଳ୍ପନା



ဝေဆါး

# მარილის თანამედროვე ძგომარებება საქართველოში

სრულიად გულებივისა ადამიანს, მითუმეთას ქართველ კაცს მისცრავება პოლიტიკური მიწისან, სადაც პოლიტის საკუთარი ნაკვეთი-ებო, კარმილაშვილ ხელისითა და ვაზილ დამზვევაული. ჩვენი აზრით, დაღ-გა დღო მიუჰარუდეთ მიწას, მას მოვალიროთ პატრიატ, როგორცაც აქვთ ერთ-ერთი ულამაზესი და უცაყოფიარესი ლიტერატურული აღგილი ამ სამყაროში და ლიტერატურული ინიციატივები, მრომისუნარი-ანობა და მოგლიური მიწის უსაზღვრელი დისტანციის სამართლებული, რა სტილს საიმის, სხვისი დახმარებელს შემუშავე იყოს.

მშობლიური მიწისაკენ შემობრუნების პროცესი უდიდესი მნიშვნელობის საერთ საქმეა და ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურები მთავარ ამოცანად უნდა ისახავდნენ აღნიშნული პროცესის ყოველმხრივ ხელშეწყობას.

ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით მეხილეობა ქვეყანაში მეტ-ნაკლებადა განვითარებული. სეხილის ნარგაობის ტიპები ორნაირია და ნარმოდებულია, როგორც მასიური ბალები, ისე საკარმი-

დამო ნაკვეთები ცალკე ნარგაობით,  
ერთეული ძირის სახით.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ბოლო, 2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები. აღწერას დაეკვემდებარა ქვეყანაში არსებული (საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე) მეურნეობები – ყველა ის შინამეურნეობა და იურიდიული პირი, რომელსაც ამ დროისათვის საკუთრებაში ან დროებით



სარგებლობაში ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მიწა და ჰქონდა მრავალ-წლოვანი ნარგავი. აღნერის შედეგად, ქვეყანაში დაფიქსირდა 642,2 ათასი მეურნეობა, მათ შორის 640,0 ათასი – შინამეურნეობა და 2,2 ათასი – იური-დიული პირი. მეხილეობის ზონების მიხედვით, მეურნეობების ყველაზე მეტი რაოდენობა იმერეთში (19,6%),

**მეურნეობების სარგებლობაში არსებული მრავალწლიანი ნარგავების  
სტრუქტურა (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით).**

| მაჩვენებელი                    | ფართობი<br>(ათასი ჰა) | მეურნეობების რაოდე-<br>ნობა (ათასი ერთეული) | საშუალო<br>ფართობი (ჰა) |
|--------------------------------|-----------------------|---|-------------------------|
| მრავალწლიანი ნარგავები, სულ    | 109.6                 | 272.0                                       | 0.4                     |
| მთა შორის:                     |                       |   |                         |
| ხეხილის ბალები                 | 49.8                  | 157.6                                       | 0.4                     |
| ვენახები                       | 33.0                  | 123.5                                       | 0.3                     |
| ციტრუსის პლანტაციები           | 7.4                   | 37.4  | 0.2                     |
| ჩაის პლანტაციები               | 4.6                   | 6.6   | 0.7                     |
| სხვა მრავალწლიანი<br>ნარგავები | 5.2                   | 31.0  | 0.2                     |

მრავალწლიანი ნარგავების მდგო-  
მარეობა 2014 წლის 1 ოქტომბრისათ-  
ვის. მრავალწლიანი ნარგავების ფარ-  
თობი მეხილეობის ზონებში აღნერის  
თანახმად 109,6 ათას ჰა-ს შეადგინა. მეურნეობების სარგებლობაში არ-  
სებული მრავალწლიანი ნარგავების საშუალო ფართობი 0,4 ჰექტარია. მე-  
ურნეობების 93,5%-ს სარგებლობაში  
აქვს 1,0 ჰა-ზე ნაკლები მრავალწლი-  
ვანი ნარგავები. 1,0 ჰა და მეტი მრა-  
ვალწლივანი ნარგავი აქვს 17,6 ათას მეურნეობას, ხოლო 3,0 ჰა და მეტი  
– 1,7 ათასს. მრავალწლივანი ნარგა-  
ვების 49,8% ხეხილის ბალებს უკავია,  
33,0% – ვენახებს, 74% – ციტრუსის  
პლანტაციებს, 4,6% – ჩაის პლან-  
ტაციებს, ხოლო დანარჩენს 5,2%.

ფართობების უმტესი ნაწილი სა-  
მეგრელო-ზემო სვანეთის (25,8 ათა-  
სი ჰა), კახეთის (25,6 ათასი ჰა), იმე-  
რეთის (16,8 ათასი ჰა), გურიისა (10,5  
ათასი ჰა) და შიდა ქართლის (127  
ათასი ჰა) მეხილეობის ზონებზე მო-  
დის. უმცირესი წილი კი ქვემო ქარ-  
თლის (3,0 ათასი ჰა), მცხეთა-თიანე-  
თის (1,8 ათასი ჰა), რაჭა-ლეჩხუმისა  
(3,6 ათასი ჰა), და სამცხე-ჯავახეთის  
(1,5 ათასი ჰა) მეხილეობის ზონებშია.  
(ცხრილი 1).

მრავალწლიანი ნარგავების ფარ-  
თობი 2006 წელთან შედარებით თით-  
ქმისა არ შეცვლილა სამეგრელო-ზემო  
სვანეთის, შიდა ქართლისა და ქვემო  
ქართლის მეხილეობის ზონებში. სტა-  
ბილურად ინარჩუნებს ფართობებს  
აჭარის ა/რ, სამცხე-ჯავახეთისა და  
რაჭა-ლეჩხუმის მეხილეობის ზონები.  
იმერეთის მეხილეობის ზონა, სადაც

კაკლოვანი კულტურებიდან თხი-  
ლის კულტურას წამყვანი ადგილი  
უკავია და მისი ფართობი 35 ათას ჰა-ს  
გადასცდა. ეს კულტურა განსაკუთრე-  
ბით განვითარდა და მისი ფართობები  
შესაბამისად გაიზარდა სამეგრელო-  
ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთისა  
და კახეთის მეხილეობის ზონებში.


ამჟამად ჩვენს მიერ მიმდინარეობს  
თხილის კულტურის ფართობების  
აღნერა დაზუსტება, რომლის ანგა-  
რიში გამოქვეყნებული იქნება მიმდი-  
ნარე წელს.

**ხეხილის ბალები.** მეურნეობების  
სარგებლობაში 49,8 ათასი ჰა ხეხი-  
ლის ბალებია. მეურნეობების სარგებ-  
ლობაში არსებული ხეხილის ბალების  
საშუალო ფართობი 0,4 ჰექტარია. მე-  
ურნეობების 94,0%-ს სარგებლობაში  
აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები ფართობის ხე-  
ხილის ბალი. 9,4 ათას მეურნეობას  
სარგებლობაში აქვს 1,0 ჰა და მეტი  
ფართობის ხეხილის ბალი, ხოლო 0,6  
ათასს – 3,0 ჰა და მეტი.

## ცხრილი №2

**მრავალწლიანი ნარგვების ფართობი რეგიონების მიხედვით  
2006-2010-2014 წლების 1/1 მდგომარეობით (ათასი ჰა).**

| №  | მაჩვენებელი                    | 2006 1/1<br>მდგომარეობა | 2010 1/1<br>მდგომარეობა | 2014 1/1<br>მდგომარეობა |
|----|--------------------------------|-------------------------|-------------------------|-------------------------|
| 1  | იმერეთის                       | 13.0                    | 13.0                    | 16.8                    |
| 2  | სამეგრელო-ზემო სვანეთის        | 26.0                    | 24.0                    | 25.8                    |
| 3  | გურიის                         | 5.0                     | 4.0                     | 10.5                    |
| 4  | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის | 4.4                     | 4.0                     | 3.6                     |
| 5  | შიდა ქართლის                   | 12.0                    | 18.0                    | 12.7                    |
| 6  | მცხეთა-თიანეთის                | 4.6                     | 5.0                     | 1.8                     |
| 7  | კახეთის                        | 37.0                    | 37.0                    | 25.6                    |
| 8  | ქვემო ქართლის                  | 2.0                     | 3.0                     | 3.0                     |
| 9  | სამცხე-ჯავახეთის               | 1.0                     | 1.0                     | 1.5                     |
| 10 | აჭარის ა.რ.                    | 8.0                     | 6.0                     | 8.8                     |
|    | სულ:                           | 113                     | 115                     | 109.6                   |



სუბტროპიკული კულტურები განსაკუთრებით გვხვდება აჭარის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მეხილეობის ზონებში. ფართობების გაზრდით მხრივ შეიძლება ითქვას, რომ იგი ინარჩუნებს სტაბილურ მდგრამარეობას.

მრავალწლიანი კულტურების წარმოება. 1990-2014 წლებში მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების მოცულობა კატასტროფულად დაეცა. ფართობების შემცირებასთან ერთად მოსავალიც მკვეთრად შემცირდა: ყურძნის წარმოება შემცირდა 3,1 ათას წელისას – 2,6

ჯური, თილისი – 2,5  
ჯერ, ციტრუსის  
3,7 ჯერ, ჩაის 290,1  
ჯერ. გამონაკლის  
წარმოადგენს თხი-  
ლის კულტურა,  
სადაც 2016 წელს  
მისი რეალიზაცი-  
ოდან მიღებულია  
160 მრნ. ოლიარ-

ზე მეტი. მნიშვნელოვნად გაიზარდა  
თხილის ნარმოება (კვერილი 3).

მრავალნლიანი კულტურების პრო-დუქციის წარმოების ასეთი შემცირება ადასტურებს იმას, რომ ტრადიციული დარგები, რომლებიც ასრულებდნენ სავალუტო რესურსების ფორმირების რეალური წყაროს ფუნქციებს, ფაქტობრივად დეგრადირებული აღმოჩნდნენ. მიწების დაქუცმაცებით მაღალ პროდუქტიულ ფართობებში მექანიზაციის გამოყენება შეიზღუდა. საჭირო გახდა დიდი მოცულობის სამუშაოების ხელით შესრულება,

ମାଘରାତ ଅମିସତ୍ତ୍ଵୀଳି ସାକ୍ଷାତକାରୀଙ୍କ ମୁଖ୍ୟାଙ୍ଗ-  
ଲୀଳି ଉପାଲ୍ପନ୍ତିକାରୀ ଗାଥା ଆଗରାତ୍ମକାଙ୍କିର୍ଣ୍ଣିତ-  
ରୀ ଲାଭନିଃଶୋଭେଦୀ ଏବଂ କୋରାଫ୍ରିଜ୍‌ଲାଇଫ୍‌ରୋ-  
ଡା. କେବିଲୀଳି ଯାରତିକାରୀଙ୍କ ଶୈଖଚିରିର୍ଦା.  
ମେବିଲେଗଳାଶି ସାମରଣ୍ୟବେଳୀ କଳାନ୍ତିକା-  
ତ୍ରିକେବୀ ଧାର୍ଯ୍ୟପଦ୍ଧତିରେ ଅନୁଭବ ରାନ୍ଧାନ୍ତିକା-  
ବିନ୍ଦୁରେ ଅନୁଭବ ହେଉଥିଲା. ମାର୍କେଟିକିନ୍ଦ୍ରିୟରେ  
ଧରନିରେ ବିଶ୍ଵାସତ୍ତ୍ଵରେ ଅନୁଭବ କରିବାରେ ପରିବର୍ତ୍ତନ  
ଶୈଖିମନା. ମତ୍ତୁ କାର୍ଯ୍ୟରେ ଅନୁଭବ କରିବାରେ  
ଏବଂ ଲାଭନିଃଶୋଭେଦୀ ଏବଂ କୋରାଫ୍ରିଜ୍‌ଲାଇଫ୍‌ରୋ-  
ଡା. ଯାଏତ୍ତମାତ୍ରରେ ଶୈଖଚିରିର୍ଦା ଏବଂ କରାତ୍ମକାଙ୍କିର୍ଣ୍ଣିତ-  
ରୀ ଲାଭନିଃଶୋଭେଦୀ ଏବଂ କୋରାଫ୍ରିଜ୍‌ଲାଇଫ୍‌ରୋ-  
ଡା.

და, რაც მთავარია, გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ჩვენი აზრით, გა-  
დაუდებელ ამოცანად უნდა მივიჩნი-  
ოთ ტრადიციული და საქვეყნოდ ცნო-  
ბილი მებალეობის, მევრენახეობისა და  
მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევი-  
თი ინსტიტუტის აღდგენის საკითხის  
სასწრაფოდ გადაწყვეტა, რომელიც  
პოლოს მოულებს დარგში არსებულ  
ყველა ნეგატიურ მოვლენებს.

07-08 အသာဆုံး၊  
အောင်ခြောက်၊ ဗောဓိလီ၏  
မျှော်ဗျားများ၏ရှိခိုးတာ  
ဖော်ပြုခြင်း၊ ပြုလုပ်ချက်၏

კანონი №3

| №           | 1986-1990 | 1990 <sup>2</sup> | 1995  | 2000 <sup>2</sup> | 2002  | 2008 <sup>4</sup> | 2010  | 2011  | 2012  | 2013   | 2014 <sup>5</sup> | რამდენჯერმე შემცირდა 1990 წლის მიმართ |
|-------------|-----------|-------------------|-------|-------------------|-------|-------------------|-------|-------|-------|--------|-------------------|---------------------------------------|
| ყურძენი     | 629,5     | 691               | 422,4 | 210               | 90    | 175,8             | 120,7 | 159,6 | 144   | 222,8  | 224,9             | 3,1-ჯერ                               |
| ხილი        | 645,3     | 591,2             | 383,9 | 250               | 172,6 | 157,6             | 124,1 | 187,3 | 157,9 | 217,6  | 229,0             | 2,6-ჯერ                               |
| ციფრუსი     | 259,8     | 283,1             | 118   | 40                | 33,1  | 52,2              | 52,1  | 54,9  | 77,0  | 110,04 | 76,2              | 3,7-ჯერ                               |
| ჩაის ფოთოლი | 522,3     | 501,7             | 38,5  | 24                | 24    | 5,4               | 3,5   | 2,9   | 2,6   | 3,3    | 1,8               | 290-ჯერ                               |
| თხილი       | -         | -                 | -     | -                 | -     |                   | 28,8  | 3,1   | 24,7  | 39,7   | 37,4              | -                                     |

# საქართველოში მაცხოველების განვითარების პროცესი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროდუქციის ღირებულებაში გეოცენოლოგის ხვდებითი ნილს 56% უკავია. ამასთან, დარგის განვითარების თანამდერნვე ძონე და ცენველთა პროდუქციულობა საკმარის დაგენერირდა, რაც მრავალ პროგრესს ჰქმნის შედეგად პაზრის სასურსათო პროდუქციებით უზრუნველყოფას, საერთო.

ცხრილი 1-ის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ბოლო 16 წლის მანძილზე ცხოველთა სულადობისა და მეცხოველობის პროდუქტების წარმოებაში აღინიშნება შემცირება, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლით საკმაოდ მნიშვნელოვანი.

დარებით, პრაქტიკულად განახევრ-  
და ყველა სახის ცხოველის ხორცის  
ნარმოება (გარდა ფრინველის ხორ-  
ცისა), 12,3 და 31,2%-ით შემცირდა  
ძროხისა და ცხვრის რძის ნარმოება  
(შესაბამისად).

ეს გაპირობებულია მრავალი ფაქტორით, რომელთა შორისაა:



1. გაურკვეველი წარმოშობის, შედარებით დაბალპროდუქტიული ცხოველები;

2. ცხოველთა მოვლა-შენახვის ექსტენსიური, ბაგურ-საძოვრული სისტემა – ზაფხულში, ძირითადად ბუნებრივი საძოვრული საკვებით, ხოლო ზამთრის პერიოდში მხოლოდ უხეში საკვებით კვებით;

3. ცხოველთა სადგომების ზონაში გიენური და სანიტარული ნორმები-სადმი შეუსაბამობა;

4. ექსპლოატაციის ნორმების დარღვევის მიზანით ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ცენტრის გადაგვარება, რამაც მკვეთრად შეამცირა მოსავლი-ანობა;



5. დაბალი ტექნიკური შეიარაღება, რის გამო სანარმოო პროცესების ძირითადი ნაწილი სრულდება ხელით;

6. სანაშენე-სასელექციო საქმიანობის სრული იგნორირება, რამაც განაპირობა პროდუქტიულობის პო-

ტენციური შესაძლებლობების დაქვეითება და ჯიშების აღრევა.

იმავდროულად, სწრაფი ტემპებით, 71,5 და 63,3%-ით ზრდა აღინიშნება მეფრინველების პროდუქტების, კვერცხისა და ხორცის წარმოებაში, შესაბამისად. და ეს მოხდა ფრინველების რიცხოვნობის მხოლოს 5,3%-ით გადიდების ფონზე.

ასეთი წინსვლა განპირობებულია იმით, რომ მეფრინველებობაში საკმაოდ სწრაფი ტემპით გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა, რამაც შესაძლებელი გახადა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მაღალმარმოებლური მეფრინველების ფაბრიკების შექმნა, რომელთა უმრავლესობაში დაინერგა HACCP-ის სტანდარტები. მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, აქაც არსებობს პროდუქტიულობის გაზრდისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გარკვეული შესაძლებლობები.

ცხოველთა საშუალო პროდუქტიულობაზე მონაცემები და მიმდინარე ათასწლეულის დასაწყისში ამ მაჩვენებლების დინამიკა ნაჩვენებია მე-2 ცხრილში მოტანილ მასალებში. როგორც ვხედავთ, 2000 წელთან შედარებით 2016 წლისთვის ფურების საშუალო მონაწველი გაიზარდა 486 კგ-ით, რაც შეადგენს 30 კგ საშუალო წლიურ მატებას. მიუხედავად, ერთი შეხედვით, მონაწველის ასეთი ზრდისა, ეს მაჩვენებელი 3-4-ჯერ ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებული სარძეო მექანიზმების ქვეყნებში საშუალო მონაწველის ზრდის ტემპს.

რაც შეეხება საშუალოდ 1 სული პირუტყვიდან ხორცისა და მატყლის წარმოების საშუალო მაჩვენებლებს, ისინი 2000 წელთან შედარებით კატასტროფულად დაბალ დონემდეა შემცირებული.

ეს არის იმის ძირითადი მიზანი, რომ წლების მანძილზე საქართველოში რძის, ხორცისა და კვერცხის წარმოება ჩამორჩება შიდა ბაზრის

### ცხოველთა სულადობა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყველა კატეგორიის მეურნეობაში

| მაჩვენებლები                | ზომის<br>ერთეული | წლები  |        |        |        | 2016 წ., 2000 წელთან<br>შედარებით, % |
|-----------------------------|------------------|--------|--------|--------|--------|--------------------------------------|
|                             |                  | 2000   | 2010   | 2015   | 2016   |                                      |
| მეძროხეობა (ძროხა + კამერი) |                  |        |        |        |        |                                      |
| სულადობა                    | ათ. სული         | 1177,4 | 1049,4 | 1325,5 | 962,7  | 81,8                                 |
| წარმოებულია რძე             | ათ. ტ.           | 604,5  | 581,0  | 666,7  | 530,2  | 87,7                                 |
| წარმოებულია ხორცი           | " — "            | 48,3   | 26,7   | 20,9   | 21,5   | 44,5                                 |
| მეღორეობა                   |                  |        |        |        |        |                                      |
| სულადობა                    | ათ. სული         | 443,4  | 110,1  | 197,7  | 136,2  | 30,7                                 |
| წარმოებულია ხორცი           | ათ. ტ.           | 36,9   | 12,8   | 16,9   | 16,1   | 43,6                                 |
| მეცხვარეობა-მეთხობა         |                  |        |        |        |        |                                      |
| სულადობა                    | ათ. სული         | 659,2  | 653,9  | 891,4  | 936,5  | 142,1                                |
| ხორცის წარმოება             | ათ. ტ.           | 8,9    | 4,9    | 4,8    | 4,6    | 51,7                                 |
| რძის წარმოება               | " — "            | 14,4   | 6,7    | 9,8    | 9,9    | 68,8                                 |
| მატყლის წარმოება            | " — "            | 1,9    | 1,7    | 2,3    | 2,0    | 105,3                                |
| მეფრინველეობა               |                  |        |        |        |        |                                      |
| სულადობა                    | ათ. ფრთა         | 7825,5 | 6521,5 | 8308,6 | 8237,8 | 105,3                                |
| ხორცის წარმოება             | ათ. ტ.           | 13,7   | 11,6   | 19,1   | 23,5   | 171,5                                |
| კვერცხის წარმოება           | მლნ. ცალი        | 361,4  | 444,5  | 601,2  | 590,4  | 163,3                                |

### ცხრილი №2

საშუალოდ 1 სული პირუტყვიდან რძის, ხორცისა და მატყლის წარმოების საშუალო მაჩვენებლები (კგ/სულზე)

| მაჩვენებლები                         | წლები |       |       |       | 2016 წ., 2000 წელთან<br>შედარებით, % |
|--------------------------------------|-------|-------|-------|-------|--------------------------------------|
|                                      | 2000  | 2010  | 2015  | 2016  |                                      |
| საშუალო მონაწველი, კგ:               |       |       |       |       |                                      |
| - 1 ფურის და ფურკამეჩის              | 935   | 1270  | 1344  | 1421  | 152,0                                |
| - 1 ნერძის და დედალი თხის            | 37,4  | 14,6  | 16,3  | 14,1  | 37,7                                 |
| ხორცის წარმოება (ნაკლავის მასა, კგ): |       |       |       |       |                                      |
| - 1 სული ძროხიდან                    | 41,0  | 25,4  | 15,8  | 22,3  | 54,4                                 |
| - 1 სული ნეზვიდან                    | 547,8 | 449,1 | 349,2 | 480,6 | 87,7                                 |
| - 1 სული ნერპიდან                    | 23,1  | 10,7  | 8,0   | 6,5   | 28,1                                 |
| 1 სული ცხვრის საშუალო ნაპარსი        | 3,0   | 2,5   | 2,7   | 2,4   | 80,0                                 |



მოთხოვნილებას, რის გამოც მეტად დიდია იმპორტის ხვედრითი წილი.

ცხოველთა პროდუქტიულობის უმოკლეს პერიოდში გაზრდის შესაძლებლობები საქართველოში საკმაოდ დიდია. ეს არის: საკვებნარმოების ინტენსიფიკაცია და ცხოველთა ნორმირებული კვება, მათი ფიზიოლოგიური მდგომარეობის და პროდუქტიუ-

ლობის დონის გათვალისწინებით (1), სანაშენე-სასელექციო საქმიანობის აღდგენა (2), მოვლა-შენახვის ზოოპიგიენური და სანიტარული მოთხოვნების დაცვა (3), სანაშენე მოზარდის მიზანმიმართულად გამოზრდა (4) და სხვ. ყოველივე აღნიშნული პირობების შესრულებით მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლებელი გახდება ცხოველთა საშუალო პროდუქ-

ტიულობის 50-70%-ით გაზრდა, რაც მნიშვნელოვანი იქნად შემცირებს სამომხმარებლო ბაზარზე არსებულ დეფიციტს.

### კულტურული,

სსმმ აკადემიის მეცნიერებლების, საკუპებნარმოების და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების აკადემიური მიერს-მდივანი, აკადემიკოსი

### ფარმაცია



ძველი მითების თანახმად, ლვითური თხა ამალთეა თავისი რძით კვებავდა ზევსს.

თხის რძეს, როგორც ვთქვით, ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ და მისგან სხვადასხვა სახის ყველს, არაუანს, ჩუმა-მანონს და სხვა ნაწარმს ამზადებდნენ და ამზადებენ დღესაც. რაც დრო გადის, ტექნიკურიული საზოგადოება სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და იყენებს თხის რძისა და ხორცის პროდუქტებს.

თხის რძე, ძროხის რძის მსგავსად კაზეინს შეიცავს, მაგრამ, ძროხის რძისგან განსხვავებით, მასში პრაქტიკულად არ არის ალფა-1შ-კაზეინი, რომელიც რძის ალერგიის გამომწვევი ძირითადი ფაქტორია, ამიტომაც ძროხის რძეზე ალერგიის მქონე პირებისთვის რეკომენდებულია თხის რძე. კაზეინი ამინომჟავებით გაჯერებული ცილაა, რომელსაც ძალიან ნელა ითვისებს და ასევე ნელა გამოიყოფა ორგანიზმიდან.

ამ და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორც მედიკოსები გვარნიშუნებენ, თხის რძე უნიკალური და ძალზე სასარგებლო პროდუქტია.

## რაზომ სჯობს თხის რძი ძროხისას

თხა მრავალ გარეულ პროდუქტაგან ერთ-ერთი პირველია, რომელიც ადამიანები მოიშვინება.

თხის რძის სასარგებლო თავისებაზე უძველესი დროიდან არის ცხოვილი. შუალედად მას და საგარეო განვითარების მიზანთა სამუშაოები და მატერიალური იყვნებოთ. შუა საუკუნეების ფილოსოფიის და მატერიალური იგნ სინა ავიცენა თხის რძის სამუშაოები სისხლი მიიჩნევდა.

თხის რძეში სხვა ცხოველებისგან მიღებულ რძესთან შეუდარებლად მეტია სასარგებლო ნივთიერებები, მინერალები, ანტიოქსიდანტები, ფოსფორი, კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, სპილენდი, რკინა და მანგანუმი, თუმცა, შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მათ შორის – ასკორბინის მჟავას (C ვიტამინს), რეტინოლს (A ვიტამინს), თიამინს (B1 ვიტამინს), რიბოფლავინს (B2 ვიტამინს) და ციანკონდალამინს (B12 ვიტამინს). 100 გრამი თხის რძის ენერგეტიკული ღირებულება 68 კილოკალორია.

თხის რძე შეუცვლელია კუჭისა და მხედველობის ორგანოს დაავადებათა დროს, დიათეზისა და ძვლოვანი ქსოვილის დემინერალიზაციის პროცესში.

მაგალითად, მასში ძროხის რძეზე გაცილებით მეტია კალიუმი, რომელიც აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალური ფუნქციონისთვის. გარდა ამისა, ის მდიდარია კობალტით, რომლის გარეშე ნარმოუდგენელია სისხლის ნარმოქმნა. თხის რძეს ზოგიერთი სპეციალისტი ქალის რძესაც კი ადარებს, რად-

გან მასში ბევრია ბეტა-კაზეინი. თხის რძე აუცილებელია რაქიტით დაავადებული ბავშვებისთვის. ის შეიცავს სიალის მჟავას, რომელიც შედის ორგანიზმის ბუნებრივი ბარიერული სისტემის სტრუქტურაში. თხის რძის ცილების უმრავლესობა ალბუმინებითაა ნარმოდგენილი. ალბუმინები უკეთ ურთიერთქმედებს კუჭის წვენთან, იოლი ასათვისებელია და არ ინვევს კუჭ-ნანლავის ფუნქციურ დარღვევებს. თხის რძის კიდევ ერთი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ნაკლებცხმიანია. ცხიმების შემცველობა მასში 4%-მდე მერყეობს. ეს 4%-იც კი სრულად აითვისება და, რაც მთავარია, არ გროვდება ორგანიზმში. თხის რძე ლაქტოზის მცირე შემცველობით გამოირჩევა. ძროხის რძეში – დაახლოებით 13%-ით, დედის რძეში კი 41%-ით მეტი ლაქტოზაა, ვიდრე თხის რძეში, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც ლაქტოზის აუტანლობა აქვს. ამასთან, თხის რძით გამოხვეული დიარეის შემთხვევები პრაქტიკულად გამორიცხულია.

მოკლედ, თხაზე და თხის რძისგან მიღებულ პროდუქტებზე ლაპარაკის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგ-

რამ, მოდით, ჩვენ მთავარ სათქმელზე გადავიდეთ – რა პერსპექტივა აქვს მეთხვეობის განვითარებას საქართველოში? სტატისტიკის მიხედვით მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში თხის სულადობა თანდათან მცირდებოდა და ბოლოს კრიტიკულ ზღვარსაც კი მიაღწია, მაგრამ ბოლო პერიოდში მეთხვეობის ალორძინების კარგი ნიშნები იკვეთება და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ამ კეთილ საქმეში ერთ სათო, რკინისქალამნებიან ქალბატონს ლომის წილი მიუძღვის.

ბოლო 5-6 წლინადია არ მახსენდება სოფლის მეურნეობის ირგვლივ გამართული დიდი თუ მცირე თავირილობა, უცხოურ ორგანიზაციებთან შეხვედრა, რასაც მე დავსწრებივარ, ქალბატონ ლია დემეტრაშვილს თხებზე რომ არ წამოენყო ლაპარაკი და საზოგადოების ყურადღება არ მიექცია. ამიტომ მიმართია, რომ ამ თემის გააქტიურება და პოპულარზება სწორედაც რომ მისი დამსახურებაა.

დღეს ქალბატონ ლია დემეტრაშვილს ყველა იცნობს. თუ ვინერს თხის შესახებ რამის გაგება უნდა, მას ურეკავენ, აკითხავენ, რჩევას ეკითხებიან და ისიც უანგაროდ უზიარებს გამოცდილებას ყველას, ვისაც თხისა და მეთხვეობის შესახებ სურს მეტის გაგება.

ის კი არადა, უდიდეს ქართველ მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდი სწორედ მის ფერმაშია გადაღებული.

ვიდრე თხების მოშენებას წამოიწყებდა, ქალბატონ ლია დემეტრაშვილს თხასთან და საერთოდ სოფლის მეურნეობასთან არაფერი აკავშირებდა. ის თბილისელია და ამ საქმეს, შეიძლება ითქვას, შემთხვევით მოკიდა ხელი.

რამდენიმე წლის წინათ მეუღლესთან ერთად ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებლიბაზე თეთრიწყაროში მოუწიათ მუშაობა. მოგეხსენებათ, თეთრიწყაროს რაიონი რძისა და რძის პროდუქტებით განთქმულია, მის მეუღლეს კი ძროხის რძის შეუთავსებლობა აქვს და დაინტერესდა, თხის რეა გაესინჯა. გასინჯა და აღმოაჩინა, რომ შეუთავსებლობა კი არა, არგო კიდეც. ოჯახმა ჯერ ერთი თხა შეიძინა, შემდეგ კი გადაწყვიტა

თხები მოეშენებინა და მცირე ბიზნესი წამოენყოთ.

საქართველოში თხები კი ჰყავდათ, მაგრამ თხის ფერმა და თხის რძის პროდუქტების ბიზნესის (თხის ყველის დამზადება, რძის ჩამოსხმა-გაყიდვა) გამოცდილება არავის ჰქონდა. ინფორმაციის შეგროვებას დიდი დრო დასჭირდა, უცხოეთიდან შემოიყვანეს ზაანური ჯიშის თხები. ახალი ბიზნესის პიონერებს ინტერესით აკვირდებოდნენ მეზობლები და არა მარტი ისინი.

– თეთრიწყაროში, ზუსტად იქ, სა-დაც ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენი გადის – მიხსნის ქალბატონი ლია – ვიყიდეთ სახლი, – 1400 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვთი, ავაშენეთ მცირე ფერმა და იქვე მოგვყავდა ოჯახისთვის ბოსტნეულ-ბალჩეული კულტურები. თავიდან ზაანური და ალპური ჯიშის თხუთმეტი თხა გვყავდა, ახლა ასი სული გვყავს, არადა, 700 და მეტი უნდა გვყავდეს, რადგან თხა ძალიან სწრაფად მრავლდება, მაგრამ მიწის ნაკვეთის შეძენა ვერ შევძელით, სა-დაც უფრო დიდ ფერმას ავაშენებდით.

ბიზნესი ექვსი წლის წინათ და-ვიწყეთ და დღეს, ნორმალურად განვითარების საშუალება რომ გვქონიდა, სულ მცირე, 700 სული თხა და ძლიერი ფერმა მაინც უნდა გვქონდეს, მაგრამ მეტად ვერ ვვითარდებით. სულადობას 100-ზე მეტად ვერ ვზრდით, იძულებული ვართ ციკნები გავყიდოთ.

ზაანური და ალპური თხები ჩვენებურ ჯიშებს არ ჰგვანან, ძალიან მორჩილები და თვინიერები არიან, კედ-

ლებზე და ხეებზე არ დადიან. სხვა მხრივ ჩვეულებრივი თხაა. ესენიც ავადდებიან ბრუცელოზით, მასტი-ტებით, მუდმივი ყურადღება და პირობების შექმნა სჭირდება, რომ არ უნდა იწვეს ბეტონზე, ხე ან სხვა სპე-ციალური საფეხი სჭირდება, ცური არ უნდა დაუსველდეთ, არ უყვართ ორპირი ქარი, რადგან სუსტი ფილტ-ვები აქვთ, თუმცა, სხვა მხრივ იოლი მოსავლელები არიან.

მოგეხსენებათ, თხის რეა თვისებებით თითქმის დედის რძესთან არის გათანაბრებული, თვითონ მედიცინა აღიარებს, რომ საწყის სტადიაში ფილტვების, ასევე კუჭ-ნაწლავის, წყლულს ყოველგვარი მედიკამენტების გარეშე სრულად კურნავს. ვისაც აქვს რძისადმი შეუთავსებლობა, ლაქტოზა, გულსისხლძარღვთა და-ავადებების და მრავალი სხვა სენის სამკურნალო-პროფილაქტიკური პროდუქტია.

ჩვენ ფერმაში გადაიღეს ფილმ „ექ-ვიმე თაყაიშვილის“ ერთ-ერთი ეპიზოდი. თვითონ ფილმის მთავარი გმირი რეზო ჩხიცევილი იყო ჩამოსული და მოიხიბლა ჩვენი საქმიანობით, ჩემი პატარა შვილიშვილით – დაჩი ვა-ჩეიშვილი უწევდა მასპინძლობა-მეგზურობას. ძალიან კარგი შვილიშვილი მყავს, ყოჩალი ბიჭია, დილით 4 საათზე დაგება და მიჰყვება პაპას თხების მოსავლელად. უნარიანი ბიჭია, შესანიშნავ ყველა აკეთებს უფროსების დაუხმარებლად, დამოუკიდებლად. სურს ვეტერინარი გახდეს. მეც როგორც შემიძლია, ხელს ვუწყობ, ყველგან დამყვება, რძის კონგრეს-





ზეც ერთად ვიყავით. ყურადღება არ მოუდუნებია, ინტერესით ისმენ-და ყველაფერს. უკრაინელ, კომპა-ნია დელავალის წარმომადგენლებ-საც ერთად შევხვდით, გაუკვირდათ, ბავშვს ასეთი ინტერესი გამოიჩინოს ვეტერინარიის მიმართ, არ გვინახავ-სო, ცოტა წამოიზარდე და ჩვენ ვი-ცით, მოგხედავთო.

დაჩიმ, 10 წლის იყო მაშინ, ისრა-ელიდან ჩამოსული ფერმერის თან-დასწრებით ამიყვანა და დამზადა ნიგვზით და წინაკით შეკეთებული ყველი. დღეს უკვე 12 წლისაა და შე-იძლება ითქვას, რომ მან ამ თხის ყვე-ლის დამზადების ავანჩავანი იცის.

ძალიან მინდა კარგი პროფესიო-ნალი დადგეს. დღეს კარგი ვეტერი-ნარის, ზოოტექნიკოსის ნახვა ჭირს, არადა მათ მეცხოველე ფერმერების წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ.

თუ თხას სწორად არ კვებავ, სა-სურველ შედეგს ვერ მიიღებ, დაავა-დების მხრივაც პრობლემები შეგეებ-ება.

უფროსი შვილიშვილიც მყავს, ისიც მომავალი ფერმერია და მინდა შეი-ლიშვილებმა ჩვენი საქმე გააგრძე-ლონ.

დღეს ჩვენ ფერმერებს ბევრ ყოფით პრობლემასთან უნდევთ გამკლავება. მე თბილისიდან სოფელში გადავედი საცხოვრებლად. როცა ქალაქში ვსაქ-მიანობდი, სხვა მოთხოვნები მქონდა, სხვა შეხედულება მქონდა სოფელზე, აქცენტი უფრო იმაზე მქონდა გა-დატანილი, რაც მჭირდებოდა. აქაც ისევეა, სოფელში ცხოვრება იმას არ ნიშნავს, არ გქონდეს წყალი, გზა, ტე-ლეფონი, ინტერნეტი. აქ მართალია

ბევრი სხვა აუცილებელი საჭიროე-ბებია, მაგრამ ელემენტარული პი-რობები ყველას უნდა ჰქონდეს. დღეს ამაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს, რომ გზა, წყალი, ტელეფონი, ელექტროგა, ინტერნეტი გაქვს თუ არა.

მე ძალიან აქტიური ადამიანია ვარ, ყველან დავდივარ – ფესტივალებ-ზე, შეკრებებზე, სწავლებაზე, რა ღო-ნისძიებაც კი იმართება ქვეყანაში. დღეს ჩვენ სოფელს აქტიური ხალხი აკლია, აქტიურობა კი დღეს გადამწყ-ვეტი ფაქტორია. ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩინელებმა მიმიწვიეს კიტრის მყნობის მეთოდების სწავლებაზე და იქაც თხებზე ვილაპარაკე. ვთვლი, რომ ჩემი ასეთი აქტიურობით დარ-გისადმი ინტერესი და პოპულარობა გავზარდე. ამ ორიოდე წლის წინათ თუ მარტო ვიყავით, დღეს ბევრი ინტე-რესდება ამ საქმით.

დღეს ჩვენი პრობლემა ის არის, რომ წვრილმა ფერმერებმა არ ვიცით და-გეგმარება. რეგ ხან ჭარბად გვაქვს, ხან არ გვაქვს. გლეხი ვერ ახერხებს ისე მოაწყოს მე-ურნეობა, რომ ასე-თი ჩავარდნები არ ჰქონდეს. თუ არსე-ბული გენოფონდი არ გაუმჯობესდა, ადგილობრივი ჯი-შები არ გაუმჯო-ბესდა, არაფერი გამოგვივა.

სახელმწიფოს თანადგომა ჩვენ საქმეში მნიშვნე-ლოვანია, ამბობს ქალბატონი ლია,

– „აწარმოე საქართველოში“ ძალი-ან კარგი პროექტია, მივიღე მონაწი-ლეობა და პასტერიზატორი შევიძი-ნე, მაგრამ ახლა უკვე მინი-სანარმო არის საჭირო, სადაც განვათავსებ მა-გიდას, პასტერიზატორს, რძის ჩამო-სასხმელ ხაზს, ლაბორატორიას. თუ ყველა ეს აღჭურვილობა არ გაქვს, რძეს ვერ ჩამოსხამ და ვერ ჩაბარებ.

ბოთლში ჩამოსხმული რეგ მივიტა-ნე გუდვილში, სხვაგანაც, შეამოწ-მეს, მოენონათ, მაგრამ სათანადოდ არ არის შეფუთულიო, და არ მიი-ღეს, ამიტომ აქ მჭირდება დახმარე-ბა. თხის პროდუქტი სულ უფრო პო-პულარული ხდება. ბევრმა დაინტე-ს თხის მოშენება, მათგან რეგ რომ ჩაი-ბარო, შეამოწმო, ლაბორატორია უნ-და გქონდეს, სხვაგვარად ვერ იმუშა-ვებ.

– დღეს სად ყიდით პროდუქციას? – ვეკითხები ქალბატონ ლია დემეტ-რაშვილს.


– მიაქვთ რესტორანს, ბაზრობაზე, ფესტივალები ტარდება, სადაც კარ-გად იყიდება ჩვენი პროდუქტი, ჩემი მომხმარებელიც მყავს.

– რამდენ რძეს აწარმოებთ?

– 100 ლიტრს, ხან მეტს, ხან ნაკ-ლებს. ზანური ჯიში დღეში 3-დან 5 ლიტრამდე რძეს იძლევა. ბაგურ კვე-ბაზე უკეთეს შედეგზე გავალთ. არც ცური გაუფუჭდება, აღარც დაავადე-ბა იქნება პრობლემა

ამიტომ გვჭირდება დახმარება, რომ შევემნათ საკუთარი საწარმო და პროდუქცია თავისუფლად გავიტა-ნოთ ბაზარზე. სახელმწიფო მსარში გვიდგას, იმედია, ამ პრობლემასაც დავძლევთ და განვვითარდებით.

## ნატან გულუბელი



# ნიადაგი, სასუჟი, მცენარე

გავეცანი ზურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ №7 ნოემბრი გამოქვეყნდებულ პატონ აღმოს ადოლტ ტექნიკური შვილის და გაფონ გოჩა წერილის სტატიას „როგორ მოვამზადოთ ნიადაგი პილარიდუქტების სანარმოებლად“. ამ ცერილში ნათლად აისახა საქართველოს ნიადაგების-ქვეყნის სიმძიდრის დღევანდები მდგომარეობა და მისი გამოცოდების ღონისძიებები.

ყველასათვის ცნობილია, რომ იყო პერიოდები როდესაც მინერალური სასუქების და შესაძლებების გამოყენებამ პიკს მიაღწია. შემდეგ იყო უძრაობის პერიოდი და ნიადაგის განვიყირება საერთოდ იგნორირებული იყო სოფლის მეურნეობასთან ერთად. იყენებდნენ მხოლოდ აზოტოვან სასუქებს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ნიადაგების გამოყიტვა, დაჭუჭყიანებაა, მასთან ერთად დაირღვა ნიადაგის ბიომრავალფეროვნება, საკვებ ელემენტთა შეფარდების წონასწორობა.

ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გამოკვლეული ნაკვეთის უმეტეს ფართობებში ჰქონის და საკვები ელემენტების შემცველობა მინიმუმია. ასევე გაუარესებულია ნიადაგის სტრუქტურა, განსაკუთრებულია მთიან ზონაში, სადაც ნიადაგების უმეტესობა განიცდის ეროზიულ პროცესებს. ნიადაგები დეგრადირებულია, დაფარულია სარეველებით, განსაკუთრებით ჩაის ფართობები.

დამერნმუნებით, დღეს საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიესალმება ბიოპროდუქტების წარმოებას, მაგრამ საკითხავია: რამდენად მზად არის საქართველოს ნიადაგები ამისთვის. სწორედ ამას სცემს პასუხს ბატონ ადოლტ ტყეშელაშვილის და ბატონ გოჩა წერეთლის სტატია.


საქართველოს კლიმატური და ნიადაგური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ვანარმოოთ ბიოპროდუქტი, მაგრამ არა ასე ერთბაშად. ჩვენ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავარდეთ, რათა სავალალო შედეგი არ მივიღოთ და ფერმერთა უმეტესობა არ დავაზარალოთ.

ცნობილია, რომ ორგანული სასუქები ნიადაგში განიცდიან მინერალიზაციას და შემდეგ არის ის მცენა-

გააჩნია. ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების და კლიმატური პირობების გათვალისწინებით მოვახდინოთ კულტურათა დარაიონება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ბიოპროდუქტების წარმოებისას ყველა კონკრეტულ ნაკვეთს ესაჭიროება კვლევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

დასაცავეთ საქართველოში ნიადაგების 60%-ზე მეტი მუავე ნიადაგებს უჭირავთ, ამიტომ ასეთ ნიადაგებზე ჩაის კულტურის გაშენება ყველაზე ხელსაყრელია. ასევე ლურჯი მოც-


რისათვის ხელმისაწვდომი. ეს ხანგრძლივი პროცესია, ამიტომ პირველ წლებში ორგანული სასუქები მხოლოდ მინერალურ სასუქებთან ერთად იძლევა შედეგს. მაგრამ შემდეგ წლებში შესაძლებელია მინერალური სასუქების დოზების შემცირება, შემ-



დეგ კი შუალედურ ორგანო-მინერალურ სასუქებზე გადასვლა. ამ დროს დიდ ეფექტს მოგვცემს „ბაქტოფერტი“, „ჯეოპუმატი“, „ორგანიკა“, „ჰუმაფორმაცია“, „აგროვიტა“ და სხვა. ეს სასუქები ნიადაგს ამდიდრებენ ორგანიკით და ააქტიურებენ მიკროორგანიზმებს, რომ მოხდეს ორგანული სასუქების მინერალიზაცია და მცენარის მიერ საჭირო საკვები ელემენტების შეთვისება.

ბიო-სასუქების გამოყენების დროს საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მინიმუმის კანონს და მოვახდინოთ ნიადაგების კომპლექსური შესწავლა რეგიონების მიხედვით, რადგან საქართველოს ყველა რეგიონის ნიადაგურ კლიმატურ პირობებს თავისებურება

ვის კულტურა. რაც შეეხება დანარჩენ კულტურებს ისინი უნდა განლაგდნენ ისეთ ნიადაგებზე რომლებიც შედარებით სუსტი მუავეა, ან კიდევ მათი გაყულტურება მოვახდინოთ ქიმიური მელიორაციით – მოკირანებით. მოსაკირანებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ადგილობრივი კირქვები, სამეგრელოში გავრცელებული მერგელები, აგარის შარქის ქარხნის ანარჩენი – დეფეკაციური ტალაზი, ასევე მაღალმაჩვენებლიანი PH-ის მქონე ჰემიზური სასუქები. ყურადღება უნდა მიექცეს კოლხეთის ზონის დაჭაობებულ ნიადაგებში მელიორაციულ სისტემების მოწერილებას, ქარსაფარი ზოლების გაშენებას და ასე შემდეგ.



რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ ჩვენ დამღლაშებული და ტუტე ნიადაგების პრობლემები გვაქვს გადასაჭრელი.

ნიადაგების გაკულტურებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიდერატების თესვის, როგორც კულტურათა გაშენებამდე, ისე კულტურის გაშენების შემდეგ მწყრივთა შორის. სიდერატებიდან გამოვყოფით სოისა, რადგან იგი დაბალკალორიული საკვები პროდუქტების მიღების ერთ-ერთი წყაროა. სიდერატების თესვის, მათი გაცელვა, მულჩად გამოყენება ან ჩაკეთება აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს, ტენტე-

გადობას, ზრდის ორგანულ მასას, იგი ჰერბიციდების გამოყენების ერთ-ერთი საწინააღმდეგო ღონისძიებაა.

ბიოპროდუქტების ნარმოება მოითხოვს კომპლექსურ კვლევებს და კვლევის საფუძველზე ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვას ყველა იმ პირობების გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია ბიოპროდუქტების მიღებასთან.

**რუსული ტატარი,**  
სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიური  
დოქტორი, ცენტრ „ანასეული“-ს  
დირექტორი სამეცნიერო დარგში

## აგრონომის გვარდი

რუსეთის უძლევები „მომავლის უკარგარი“

# რა ესოდ კითხვა აგრონომითან?

მოგვთხოთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge ასაუს მიღებაზე უწევ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

## 1. ცირცის მოსავლის აღება როდისაა შესაძლებელი?

ცერცის მოსავლის აღება დამოკიდებულია თესვის ვადებზე. მაგ.: ობერვალსა და მარტში დათესილი ცერცის აღება შესაძლებელია ივნისში, ხოლო მაისში დათესილის – შემოდგომამდე.

სრულად შემოსული მარცვლის მისაღებად ცერცი სასურველია აპრილში იყოს დათესლი. მოსავლის აღება ხდება მაშინ, როცა პარკის სადგულები გახმება. მისი სრული გამოშრობისთვის ცერცი პარკებიანად იჭრება და ხდება მისი ჩამოკიდება კარგად განიავებულ სარდაფში.

## 2. პრიუსელის კომარსტოს ზრდის პერიოდში რა ღონისძიებებია ჩასატარებელი?

ბრიუსელის კომბოსტოს განსაკუთრებით გვალვიან ამინდში ესაჭიროება მორნცვის გაძლიერება; ასევე მოითხოვს რეგულარულ გაფხვიერებას და რეკომენდებულ სასუქის ნორმებს.

ბრიუსელის კომბოსტო თავების ნარმოქმნამდე საჭიროებს აზოტის მინდებას, ხოლო თავების ნარმოქმნის მომენტიდან აზოტით ღარიბ სრულ სასუქს.

ხშირი მორნცვის შედაგად ნიადაგი იტეპნება და ძნელდება ჰაერის შეღწევა ფესვებამდე, ამიტომ აუცილებელია მისი გაფხვიერება.

## 3. რას გულისხმობს პაზრიჯის შპონა?

ბადრიჯის ჭერის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შეუქმნით ხელსაყრელ პირობებს. დაიცავთ მცენარეს ზედმეტი რადიაციისგან და ამავდროულად, შეამცირეთ ვენტილაციის ხარჯებს.

დაავადების პირველი სიმპტომები შეინიშნება მცენარის ქვედა ფოთლების გაყავისფერებით. ლაქები ფოთლის კოდებისკენ ფართოვდება და საბოლოოდ ფოთლის ნეკროზის გავრცელების შედეგად მცენარე ჭენება. დაავადების გამომწვევი სოკოვანი ორგანიზმები დიდხანს რჩება ნიადაგში, რომელიც შემდგომ მცენარის ფესვებიდან ისევ იჭრება.

ბადრიჯის ჭერის საწინააღმდეგოდ საჭიროა დავადებული მცენარის ნაწილების დროულად მოცილება და ნაკვეთიდან გატანა, სარეველების კონტროლი, თესლბრუნვა და, სწორად შერჩეული წინამორბედი კულტურები.

## 4. რა მნიშვნელობა აქვს მზის საჩრდილოებელ გადეს დაცურულ გრუნტი?

დახურულ გრუნტში საჩრდილობელი ბადის სწორად შერჩევით თქვენს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს შეუქმნით ხელსაყრელ პირობებს. დაიცავთ მცენარეს ზედმეტი რადიაციისგან და ამავდროულად, შეამცირეთ ვენტილაციის ხარჯებს.

სათბურში მზის მაღალი რადიაციის შესამსუბუქებლად გამოიყენება საჩრდილობელი ბადები. ბოსტნეული კულტურებისთვის მიზანშეწონილია 30-50%-იანი საჩრდილობელი. რეკომენდებულია შეარჩიოთ ღია ფერის, რომელიც ზაფხულში შეამცირებს სინათლის ინტენსივობას, მაგრამ არა ხარისხს. მისი წყალობით 5-10°C-ით ტემპერატურის შემცირება შეგიძლიათ.

რუბრიკას უძღვება „მომავლის ფინანსები“

## გარე კიბეტი რეაქციების გადასახვა?

მოგვთხოვთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ას შეს მიღებაზე უწევთ „ახალი აგრარული საქართველოს“ საჭარბელო.

1. ჩვი ხეოს აცუხებს თვალებიდან ცრეპლიდენა და თვალი თანდათანებით იცარება ლიგრით. რა საშუალება გამოიყენო, რომ ჩვი ცხოველს დავხემარო?

თვალიდან ცრემლდენა ხდება თვალის პარაზიტის ან მექანიკური დაზიანების გამო, რა დროსაც იყენებენ თვალის წვეთებს და „ტეტრაციკლინს“, თვალის მალამოს. თუ თვალიდან ცრემლდენა არ არის მექანიკური, ცხოველი დასამუშავებელია თვალის ჭიაზე. ამ დროს ვიყენებთ „ივერმექტინის“ შემცველ პრეპარატებს: „პრომექტინს“, „ვილმექტინს“, „ბიომექტინს“. პრეპარატი აუცილებლად კეთდება კანქეშ და მეორდება 10-12 დღეში.

2. მყავს ჭრები, შინაური ჯიშის ძათხები. ამ გოლო დროს ხშირად იგუზიარით, ნაკლებად ჭავენ, აგვი ღია ფირის ფალარათი. განსაკუთრებით დაგძიგდა მათი გეგმვარიობა მას ჟამდებ, რაც სიმინდის საპვები ხორგლით შევუცვალა. რას მირჩვთ, როგორ უშეურნებო მათ?

პირველ რიგში, აუცილებელია კვების გამოსწორება. მი-ეცით სიმინდის მარცვალი, თუ პატარები არიან – ღერღილი, რომლის გამდიდრებაც შეგვიძლია საკვებდანამატებით: „განასუპერვიტი“, „განამინვიტი“. სასმელ წყალში კი ვურევთ „პროლოდოქსინს“ „ბიოკოცინთან“ ერთად სამ დღეს.

სამი დღის შემდეგ „პროლოდოქსინს“ შეგიძლიათ დაუმატოთ „დასი“, ან „ჩიკტონიკი“.

3. მაპვს საოჯახო გურეობა და მყავს საქონელი. ზამთარში ზოგჯერ თითქმის არაა საშუალება, რომ ცხოველებს ვითამინები მივაწოდოთ. რა საშუალებები გამოიყენოთ, რომ ცხოველებს ვითამინებისა და მინ-

რალების დაფიციტი მოვასხოთ, თუ კვება ამის საშუალებას არ იძლევა?

ფრანგული წარმოების, კომპანია ნეოლაიტ-ის მინერალებისა და ვიტამინების შემცველ ბოლუსებს აქვთ უნიკალური თვისება, თანდათანობით, საჭიროებისამეტრ მიაწოდონ ცხოველს დეფიციტური ნივთიერებები, მას შემდეგ, რაც მოხვდებიან მათ ორგანიზმში. მოიკითხეთ შპს „როქში“ (თბილისი, ქათევან წამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი) და ვეტაფთიაქები.

4. შეოძღვოებით გავას მარცვლეულის უცვი მოსავალი და ხშირად გვირდება ისებრების ან ხორგლის დაზევა. თუ არის შესაძლებელი ისეთი ხელსახის შეცვა, რომლითაც უკანას პირობებში მოვახდეთ მარცვლების დაფას?

შეგიძლიათ შეიძინოთ თურქული წარმოების მარცვლის სალერლი აპარატი, რომელიც განკუთვნილია ყველა სახის მარცვლოვანი თუ ბოსტნეული კულტურის სხვადასხვა ფრაციიებად დასაყიდვად. მოიკითხეთ შპს „როქში“ (თბილისი, ქათევან წამებულის №91-ის მოპირდაპირე მხარე. მეტრო – სამგორი).

5. ძლიერი სიცხეების პერიოდში ჩვის ღორს შევამჩნევა უმაღლება. ცხოველი ცლილობს დასაცოლად გრილი ადგილი მოხარეს. ამ ზოვლაზეს თან დართო ძლიერი სისუსტე, გაღალი ტემპერატურა და ფალარათი. როგორ დავხემარო მას ასეთ ღორს?

აუცილებელია მშვიდი გარემო. სხირად მორწყეთ მინა, სადაც ის წვება, მაგრამ წყალს უშუალოდ ცხოველს ნუ დაასხავთ. მაღალი ტემპერატურის ან სხეა გართულებების დროს გაუკეთეთ ანტიბიოტიკი („პრიმავილინი“, „ოქსიტრაციკლინი 200“, „პენბექსი“). სისუსტის დროს გაუკეთეთ კალსიმინი ან კალფონსეტი.

### 33 33 33 33 33

რუბრიკას უძღვება „მომავლის ფინანსები“

## ცოდნა და საქმის სიყვარული

ჩალაპ თელავში, გაზრის მიმდებარი ტერიტორიაზე, ალაზნის ერზაზი, 4 ლომერში მდებარე ვეფაზობია მისულება ქალგატონი მილენი სოფიანებაზე დაგვირდებათ. გალგატონი, რომელიც ვეფაზობია მილენი გამოცვლილება აქვს, უკვე მათი ცილინდრია, რაც საკუთარი ვეფაზობია გახსნა და ყოველდღიურად ემსახურდა მომხმარებელს, აპლენს რჩევას და ცილინდრს დაესაროს მათ თავიათი მეურნეობის უკათ გაძლიერადა და პირუტიკისა თუ ფრინველის გამოზრდაში.

ქალბატონი ელენეს ოცნება იყო ისეთი ვეტაფთიაქი გაეხსნა, რომელიც სამედიცინო აფთიაქზე წაკლები არ იქნებოდა და საამისოდ მონდო-

მებას და ენერგიას დღესაც არ იშურებს. ცდილობს, სწავლობს, ექვებს ახალ ინფორმაციებს რათა თანამედროვე ვეტერინარული პრეპარატები.



სა და ტექნოლოგიების შესახებ მეტი გაიგოს, დანერგოს და მომხმარებელიც კმაყოფილი ჰყავდეს.

„როცა საკუთარი ვეტაფთიაქის გახსნა დავაპირე, სურსათის ეროვნული სააგენტოდან შემოწმებაზე მოვიდნენ. მათმა ერთმა თანამშრომელმა მითხრა: ქალბატონო, მომწონს თქვენი შემართება ამ ვეტაფთიაქის მიმართ. ეს სიტყვები ისეთი სტიმულის მომცემი აღმოჩნდა ჩემთვის, მითხად დავისახე მეორე შემოწმებაზე აფთიაქი უკეთესად მოწყობილი დამეცვედრებინა. ვეტაფთიაქის ინტერიერისა და ფასადის მოწყობაში „კახეთი მოლის“ ხელშეწყობით კომპანია „როქი“ დამტმარა და საჩუქრად ავეჯი და ინვენტარი გადმომცა.

ძალიან დიდი ინტერესი და სიყვარული მაქვს ამ სფეროს მიმართ. ყველა საკითხს სიღრმისეულად განვიხილავ, ვესნრები სხვადასხვა ტრენინგს. კარგი იქნება, თუ მუდმივად იქნება გადამზადების კურსები და ვიფიქრებთ საქმის კეთებაზე. თუ ადამიანი პირდაპირ ფულზეა ორიენტირებული, ის წარმატებას ვერ მიაღწევს. შენობაზე მხოლოდ აპრის გაკეთება, რომ ვეტაფთიაქი გახსნილი, საკმარისი არა. აუცილებელია ცოდნა, საქმის სიყვარული და ადამიანების ნდობის მოპოვება, რომ პატივისცემა დაიმსახურო და თავი დაიმკვიდრო. ცოდნის მხრივ მუდმივად ცდილობს ჩვენს განვითარებას „მომავლის ფერმერი“, რომელიც ტრენინგებისა და კონსულტაციების

გზით გვაწვდის სიახლეებს“ – აღნიშნავს ელენე სოფრომაძე.

ქალბატონი ელენე პროფესიით ზორინუინერია. როგორც თავად ამბობს, ხლების განმავლობაში საკმაოდ დიდი ცოდნა-გამოცდილება დაუგროვდა და ვეტაფთიაქიში მოსულ მომხმარებელს საკუთარ სერვისს – კონსულტაციას დაუზარლად სთავაზობს. სამომავლოდ კლინიკის გახსნაც სურს.

ფიქრობს, თუ თითოეული სპეციალისტი ფერმერის წარმატებაზე იზრუნებს, სოფლის მეურნეობაც განვითარდება.

**თბილი მუზამი,  
ასოციაცია „მომავლის ფერმერი“**

## ახალგაზრდა აგრონომი

რუსეთის უძღვება „მომავლის ფერმერი“

# კახა-ბეგის კარიჭან დაწყებული სიყვარული

ახალგაზრდა აგრონომი ნინო ჭილაძელი უკვე რამდენიმე წლით „როგორი“ აგრონომ-კონსულტაციად მუშაობს და ყოველდღიურად ზრუნვას ფრენის დამსახურების მიმართ განვითარებაზე აგროკულტურულის მომოვალის, ხაროვანისა და მავნეობის დამსახურების მიმართ განვითარებაზე აგროკულტურული სამუშაოების გამოყენებისათვარი დაკავშირებით. აგავდროულად, „მომავლის ფერმერის“ აროეპტის ფარგლებში ტრენინგებისაც ატარებს.

ნინომ აგრარულ უნივერსიტეტში სილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დასრულების შემდეგ სწავლა მაგისტრატურაში განაგრძო და 2007 წელს ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგიის სპეციალობით სოფლის მეურნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა.

ახალგაზრდა აგრონომის თქმით, იმ წლებში მსგავს სპეციალობებს ნაკლებად ექცევდა ყურადღება, თუმცა, ბებია-პაპის კერიდან დაწყებულმა სიყვარულმა და სამომავლო ხედვებმა გადააწყვეტინა სპეციალობის არჩევა, რაც იმ დროისთვის მისი გარშემოყოფების გაკვირვებას იწვევდა. დღეს საზოგადოების ინტერესი ამ დარგისადმი განსხვავებულია, რაც სიამოვნებას ანიჭებს.

აგრარული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნინომ მითხად დაისახა სპეციალობით ემუშავა. მუდმივად ჩართულია ინტენსიურ ტრენინ-



გებში ქვეყნის შიგნით თუ ფარგლებს გარეთ. ფიქრობს, მისი პროფესია მუდმივად საჭიროებს თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებას და შემდგომში ფერმერებისათვის სიღრმისეულად გაცნობას.

„დღეს კარგი აგრონომ-კონსულტაციი საქართველოში დეფიციტს წარმოადგენს, თუმცა, ბოლო დროს აბიტურიენტების ამ დარგისადმი დიდ ინტერესს ვხედავ. თუ პარალელს გავავლებთ ჩვენი თაობის სტუდენტობასთან, მათთვის დღეს უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია პრაქტიკული განათლების მიღება. გააჩნიათ თეორიულთან სინთეზი პრაქტიკული სწავლება, რაც ჩვენ ნაკლებად შეგვეძლო და ჩემი თაობის სპეციალისტებს შემდგომში პრაქტიკული გადამზადება მოგვინია.

ჰოლანდიაში ყოფნისას, როდესაც დაგსვი კითხვა გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთმა სპეციალისტმა მიპასუხა, რომ კომპეტენტუ-

რი იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც ფიტოპათოლოგი მიპასუხებდა, დარჩენილი კითხვებით კი ენტემოლოგისთვის უნდა მიმემართა. საქართველოში ასეთი მიდგომა ნაკლებადაა. აგრონომი თითქოს ყველაფრის სპეციალისტი უნდა იყოს და არა – ვინრო მიმართულებით. ვფიქრობ, მცენარეთა დაცვის ორგანიზაციებს სჭირდებათ აგრონომთან ერთად ფიტოპათოლოგი, ენტემოლოგი, ნიადაგმცოდნე და ა.შ. და არა რიგითი ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თითქოსდა ვალდებულია შეითავსოს ყველა ერთად“.

ნინო ჭილაძელი იმ პრობლემებზე საუბრობს, რასაც საქმიანობის დროს აწყდება.

„ფერმერებს ხშირად არ ჰყოფნით კვალიფიკაცია და ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, უჭირთ წარმოებისთვის ხარისხიანი სასუქების და პესტიციდების (შხამკიმაკტების) შეძენა, რადგან არ აქვთ

საკმარისი ცოდნა ამ საწარმო საშუალებების შესახებ. ამიტომ ფერმერები ცოდნის გაღრმავებას საჭიროებენ.


ადგილობრივ ფერმერებს საკმარისად არ მიუწვდებათ ხელი კვალიფიციურ აგრონომებზე. ამასთან ერთად, საჭიროებენ პერიოდულად გადამზადებას, რათა მუდმივად ფლობდნენ ინფორმაციას ახალი დავადება-მავნებლებისა და შესაბამისი პრეპარატების შესახებ.

მისასალმებელია, თუ ხელმისაწვდომი იქნება როგორც მსხვილი, ასევე წვრილი ფერმერების დემობადებში მომზადება, პრაქტიკული სამუშაოების გაცნობა თავისი შედეგებით, ასევე ბიომეურნეობების მთლიანი ციკლისა და მისი სამომავლო პოტენციალის გაცნობა.

საქართველოში ხორციელდება პროექტები პროფესიული განათლების მიმართულებით, რომლებიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის

დარგების განვითარებას. შემუშავებული მოდელის მხედვით ამ პროგრამების კურსდამთავრებულები დამოუკიდებლად და პროფესიონალურად შეასრულებენ სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების სფეროებში სხვადასხვა მოვალეობებს, გაიცნობენ ლირებულებათა ჯაჭვის სრულ თეორიულ და პრაქტიკულ პროცესს პროდუქციის წარმოებიდან მის რეალიზაციამდე. კვალიფიციური ლექტორებიდან მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას შემდგომში წარმატებით დანერგავენ პირად მეურნეობებში და სამომავლოდ წარმატებულ მეურნებად მოგვევლინებიან.

ნინო ჭიორელის თქმით, ძლიერი სოფლის მეურნეობისთვის გვჭირდება ვიწრო სპეციალისტთა გამოცდილი, პროფესიონალ სპეციალისტთა გუნდი, რომლებიც შექმნიან ძლიერ ორგანიზაციას, გაუწევენ რიგით ორ-



განიზაციებს დიდ კონკურენციას, გამოზრდიან მონინავე ფერმერებს, ქვეყნას შეუქმნიან ძლიერ აგრობაზას და საბოლოოდ შექმნიან დიდ კონკურენცუნარიან ქვეყნას.

**თბილი ნობაში**

## ფარგლები

**რუბრიკას უძღვება „მომავლის ფარგლები“**

# წარმატებული საოჯახო პიზნესი

კახაბერ გარემონტერება 5 ლის ლინათ 800 ფრთა მეპვერცხული ძათების მოშავებით დაიცხო, საგარევოს რაიონის სოფელ გიორგიშვილიდაში ფრთა მოაწეო და ცარმატებულ საოჯახო პიზნესი აძლია. დღეს 3700 ფრთა მყავს და მისი პროდუქტით რამდენიმე სავაჭრო და საკვები გარემონტი მარაგდება.


მეკვერცხული ქათამი საქართველოში ნაკლებად იჩეკება, ძირითადად უცხოეთიდან შემოდის. ამ მხრივ გამონაკლისს საგარევოს რაიონი წარმოადგენს, სადაც ამ მიმართულების რამდენიმე ფერმა უკვე არსებობს და არის ახალი წარმონებებიც, ჩნდება პატარა ფერმები. მეკვერცხული ქათმების ყოლა აქტუალურია სახლის პირობებშიც.

მეკვერცხული მიმართულების ფერმერულ მეურნეობებში მნიშვნელოვანი სანარმოო რგოლია სარემონტო მოზარდებულის გამოზრდა. წინილების ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია ასაკის შესაბამისად შექმნიან მოვლა-შენახვისა და კვების საჭირო პირობები. საჭიროა ინკუბატორიუმი, საფრინდელის მომზადება, პროფილაქტიკური შესვენების ვადები, სინათლის რეჟიმი, განათების ინტენსიურობა, ტემპერატურის რეჟიმი, ფარდობითი ტენიანობა, გამოზრდის ხერხები,

დასმის სიმჭიდროვე, პაერის მოძრაობის სიჩქარე... ამ მხრივ კახაბერ ბეჭიაშვილს თეორიული ცოდნა არ ჰქონდა, თუმცა, საკუთარ თავზე ბევრი იმუშავა და ფერმერის როლი წარმატებით მოირგო.

„პროფესიონალი სოფლის მეურნეობის თემებთან ახლოს არ ვყოფილვარ, მაგრამ გადავწყვიტე ოჯახთან ერ-

თად მეფრინველების მიმართულებით წამომეწყო საქმიანობა. თავიდან იყო შეცდომები, რთულია, როცა არ იცი, სად გაყიდო კვერცხი და კიდევ ბევრი გაუთვალისწინებელი პრობლემაა... წინასწარ უნდა დაგეგმო გონივრულად ყველაფერი, რომ კარგ შედეგზე გახვიდე. დამწყებათათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს თანხის მოძიება. ამ მხრივ სახელმწიფო გვთავაზობს შეღავათიან კრედიტს და ფერმერებს გვეხმარება. მნიშვნელოვანი ფერმების სწორად მოწყობაც და იმ გარემოებების გათვალისწინებაც, რამაც შესაძლოა „შეგვაფერ-



ხოს“. მაგალითად, ზაფხულში კვერცხის ფასი ეცემა... დღეს ჩემი ოჯახი ფინანსურად ამ საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული. შრომა ყოველთვის საჭიროა, მაგრამ საწყის ეტაპზე – განსაკუთრებით.

დღეს საშუალო და მცირე მასტერ-ბის ფერმერებს ცხოველთა და ფრინ-

ველთა უმაღლესი სარისხის საკვებით, საკვები დანამატებითა და კვების თანამედროვე მეთოდებით უზრუნველყოფაში გვეხმარება კომპანია „ნუტრიმაქსი“, რომელიც წარმატებით საქმიანობს ქართულ ბაზაზე“, – ამბობს კახაბერ ბეჟიაშვილი.

ახალგაზრდა ფერმერის თქმით, პროფესიული განათლება და თეორიული ცოდნა მნიშვნელოვანია, მაგრამ პრაქტიკა აუცილებელია.

იგი სხვა ფერმერებს თავის გამოცდილებას უზიარებს და სამომავლოდ გაფართოებასაც გეგმავს.

**თბილი ნოვაპა**

## სასარგებლო კულტურები

# ქოდარი

ძონდის სამშობლო სამხრეთ ევროპა და აღმოსავლეთის ქვეყნებით. შუა საუკუნეებზე ევროპის ლარიგი მოსახლეობა მას ფართოდ იყენებდა წვენ-ანებში, ხორცეულის და თევზაულის კარძიში, როგორც მაღის აღმამალ შურცელობა საკაზოს.

ამჟამად მოჰყავთ ევროპის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის რიგ ქვეყნებში, სადაც გვხვდება აგრეთვე გაველურებული სარეველას სახით. გავრცელებულია სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, სადაც უძველესი დროიდან გამოიყენება სხვადასხვა კერძებში საკაზომად.

ქოდარი უხდება კიტრისა და პომიდვრის მარინადებს და მწნილებს, კიტრისა და კარტოფილის სალათებს. გამხმარი და დაფქველი გამოიყენება ტომატის სოუსებში, სალათებში, სოკოსა და თევზეულის კერძებში. ქართულ კულინარიაში შეუცვლელია კუჭმაჭის, ტოლმის, ყაურმის და ხორციანი კერძების მომზადებისას. გამოიყენება ძეხვეულის წარმოქაში და მედიცინაში, როგორც სამკურნალო თვისებების მქონე მცენარე.

ცერევიტინოვის მიხედვით ქოდრის შემადგენლობაში 71,88% წყალია, 4,15% აზოტოვანი ნივთიერებები, 1,65% ცხიმი, 2,45% შაქრები, 9,1% უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებები, 8,6% უჯრედანა, 2,11% ნაცარი.

საქართველოს პირობებში მოყვანილ ქონდარში 28-73,8 მგ % C ვიტამინია და 7,62% კაროტინი (გ. კანდელაკი); B<sub>1</sub> ვიტამინი 0,027 მგ%, B<sub>2</sub> 0,195 მგ%, PP 26,14 მგ%, კაროტინი 1,8 მგ% (თ. კეზელი) C ვიტამინი 30,4-50 მგ% (თ. რობაქიძე).

ქონდრის გამხმარი მასა შეიცავს 0,1 % ეთერზეთს (გურევიჩი, გაჯიევი). ეთერზეთების რაოდენობა ყველაზე მეტია ყვავილობის პერიოდში. ქონდრის ეთერზეთი არის ღია ყვითელი ფერის სითხე, რომელიც მოგვარებებს ბეგქონდარას სურნელებას.

ქონდარი ერთნლოვანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან. აქვს წვრილი,

სწორი, თითქმის ცილინდრული ფესვები, 20-30-დან 70 სმ-მდე სიმაღლის დატოტყვილი ღერო. ფოთოლი წვრილია, სწორხაზოვანი ან სწორხაზოვან-ლანცეტისფერი. ღია ისფერი, მოვარდისფრო ან თითქმის თეთრი ყვავილები შეკრებილია ფაშარი აგებულების მოგრძო ყვავილებში.

თესლი წვრილია, კვერცხისებური ფორმის, ფერს იცვლის სიმნივეს ხარისხის მიხედვით. დასაწყისში (ახალ თესლს) აქვს მომწვანო-მორუხო ფერი შავი წინწკლებით (წერტილებით), შემდგომში მუქი-მოშავო ყავისფერი. სიგრძეში 1-1,5 მმ-ია, სიგანეში 1 მმ, თესლის სიმწინე 93%-ია, 1000 მარცვლის მასა 0,6-0,8 გ. 1 გ-ში 1450-დან-1980 ცალი თესლია. დათესვიდან აღმოცენებამდე საჭიროებს 10-14 დღეს. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 1-2 წლამდე.

მცენარე მასობრივად ყვავილობს ივლისის შუა რიცხვებიდან. დიღმის პირობებში აღმოცენებიდან მწვანილად გამოყენებამდე (8-10 სმ სიმაღლე) საჭიროებს 40 დღეს, საყვავილე კორების წარმოქმნამდე 54-66 დღეს, ყვავილობის დაწყებამდე 64-72 დღეს, თესლის სიმწიფემდე 99-115 დღეს.

ქოდარი სითბოსმოყვარული მცენარეა. ითესება ნიადაგის საკმაოდ გათბობის შემდეგ.

დაბლობში აპრილის შუა რიცხვებიდან მოჰყავთ გრუნტში თესვით ან ჩითილის დარგვით. მცირე ფართობებზე მწკრივებს ერთმანეთისგან 15-20 სმ-ით აცილებენ. დიდ ფართობებზე რიგთაშორისების მექანიზებულად დამუშავებისას მწკრივებს ერთმანეთისგან 45-40-35 სმ-ით აცილებენ. ზოლებრივი თესვისას ზოლებს შორის 50-60 სმ მანძილს ტოვებენ, გამეჩერების შემდეგ მწკრივებში მცე-



ნარეებს ერთმანეთისგან 15-20 სმ-ით აშორებენ.

დასარგავი ჩითილი 30-35 დღის უნდა იყოს. ხელით მოვლისას მცენარეებს მცირე კვების არეს აძლევენ (20-25 – 20-25 სმ). მექანიზებული მოვლისას კი ისეთსავეს, როგორსაც უშუალოდ გრუნტში თესვისას. ითესება ზედაპირულად 0,5 სმ სიღრმეზე. ჩითილით მოყვანისას ჰა-ზე საჭიროა 250-300 გ თესლი. გრუნტში თესვისას 2-3 კგ/ჰა.

მოვლაში შედის ნიადაგის გაფხვიერება, გამარგვალა, გამეჩერება, გამოკვება და მორნცყვა.

პირველი გაფხვიერება ტარდება თესლის აღმოცენებისთანავე, მომდევნო – სარეველებისა და ნიადაგზე ქერქის გაჩენის შესაბამისად. გამეჩერებას ინცუდენტში მცენარეების 2 ფოთლის ფაზაში. გამეჩერების შემდეგ მწკრივებში მცენარეთა შორის ტოვებენ 15-20 სმ-ს. აღმოცენებიდან 10 დღის შემდეგ ატარებენ პირველ გამოკვებას მინერალური სასუქებით. ამ დროს 1 მ<sup>2</sup>-ზე შეაქვთ 10 გ ამონიუმის გვარჯილა, 20 გ სუპერფოსფატი და 10 გ კალიუმის მარილი. მეორე გამოკვება პირველიდან 10-14 დღის შემდეგ უნდა ჩატარდეს. 1 მ<sup>2</sup>-ზე შეაქვთ 15 გ ამონიუმის გვარჯილა, 30 გ სუპერფოსფატი და 15 გ კალიუმის მარილი.

იკრიფება ყვავილობის დროს. ზამთარში მოსახმარად მცენარეებს ჭრიან ან თხრიან ძირიანად, კრავენ კონებად და აშრობენ ისეთ შენობაში, რომელიც კარგად ნიავდება.

**ვაჟა ჟაფრინი,**  
**ინგა ინგავაზი**  
სსიპ სოფლის მუზერების  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

# თხევადი ორგანიკული სასურველი ორგანიკული



ცხელების ცხმელების  
მოხარულობის კანტინენტი

ბიოაგრო  
**BioAGRO**  
მცენარეთა ბარეტური დაცვის სენტრი  
CENTER OF BIOLOGICAL PROTECTION OF PLANTS

599 160510  
599 582420

მცენარეთა დაცვისა და გამოკვების  
ბიოლოგიური საშუალებები

[www.bioagro.ge](http://www.bioagro.ge)

შემოვნი მომავალი  
საუკითხოსფრ ტრაქტორთან  
ერთად!

VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE



MACHINE OF  
THE YEAR 2016



## ვიცერი კომანდის ვალტრას

მე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამეურნეო,  
საგზაო-კომუნალური და სამშენებლო  
სამუშაოებისთვის!

ფინანსურული საქართველო:

WORLD TECHNIC  
მსოფლიო ტექნიკა

www.worldtechnic.ge info@worldtechnic.ge  
2 90 50 00 2 18 18 81